გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 10
(11 876)
11 – 14 თებერვალი, 2005 წ.
ფასი 40 თ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები სპორტული ფედერაციებიდან

◆ **ჭიდაობის ეროვნული ფედერაციიდან** გვაცნობეს, რომ ბაკურიანში საერთო-ფიზიკური მომზადების შეკრებაზეა „თავისუფალთა“ ეროვნული ნაკრები. ნაკრების საშეკრებო შემადგენლობა ასეთია: ბესარიონ გოჩაშვილი (55 კგ), კობა კაკალაძე (60), შალვა მუზიაშვილი (66), დავით ახალმოსულიშვილი (74), რევაზ მინდორაშვილი (84), გიორგი გოგშელიძე (96), დავით ოთიაშვილი (მძიმე) და სხვები, ვინც ძირითადი შემადგენლობის დუბლიორებად ითვლებიან.

◆ **მძლეოსნობის ფედერაცია** 15 თებერვალს გამართავს აღმასკომის სხდომას, რომელიც საბოლოოდ დაადგენს თუ ვინ იქნება ის ორი სპორტსმენი, რომელიც 3-4 მარტს ასპარეზებს მადრიდში გამართულ ზამთრის ევროპის ჩემპიონატში. კანდიდატებად მოიაზრებიან **იულია დუბინა** (სამხტომი) და **დავით ილარიანი** (თარჯრბენი).

◆ **კალათბურთის ეროვნული ფედერაცია** იტყობინება, რომ საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის მე-16 ტური თელავში „ბურჯსა“ და სტუ-ს შორის გადაიდო გზებზე დიდთოვლობით გამოწვეულ რისკთან დაკავშირებით.

„ღირსების ორდენის“ კავალრების საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ დაიწყო „ღირსების ორდენის“ კავალრებისათვის სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ფულადი ჯილდოსთვის განცხადებების მიღება.

განცხადება იწერება საქართველოს ფინანსთა მინისტრის სახელზე, რომელსაც დაერთვება „ღირსების ორდენით“ დაჯილდოების დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები. განცხადება თანდართული დოკუმენტებით უნდა ჩაბარდეს ფინანსთა სამინისტროში (მისამართი: თბილისი, ირაკლი აბაშიძის, 70, საშვთა ბიუროს გვერდით).

ისმინეთ!

„ეთხოვოს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალურ უზრუნველყოფის სამინისტროს:

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს ჩაუტარონ უფასოდ ღრმა სამედიცინო შემოწმება;

შემოწმების შედეგების საფუძველზე მოახდინოს მოსწავლეთა კონტინგენტის ჯანმრთელობის ჯგუფებად დაყოფა;

სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის ჩაატაროს ერთთვიანი მოსამზადებელი კვალიფიკაციის კურსები;

ეთხოვოს თბილისის მერიას:

დედაქალაქის I კლასიკური გიმნაზიისა და 158-ე საშუალო სკოლის სპორტული დარბაზების მშენებლობის დამთავრება;

მიწისძვრით დაზიანებული სკოლების სპორტული დარბაზების კაპიტალური შეკეთების დაჩქარება და გათბობის სისტემით უზრუნველყოფა;

სკოლებთან არსებული საცურაო აუზების კაპიტალური რემონტი და მათი გათბობით უზრუნველყოფა;

სკოლებთან არსებული სასროლი ტირების აღდგენა და ფუნქციების დაბრუნება;

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად სასკოლო ღია სპორტული მოედნების კეთილმოწყობა.“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისადმი თბილისის განათლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თ. გუდაძის მოხსენებითი ბარათიდან.

ნომერშია:

- რას გვერჩიან ვეტერანი მორაგბეები?
- მოჭიდავეები დაწყნარდებიან...
- „ნინოობა“ ქართული ჭიდაობით

- სფფ – თანხმობის გზით!
- მათიას ზამერის ზომიერება
- ლეკოს სომეხი სიმამრი იმედიანადაა

- ტაისონი – უილიამსის მატჩ-რევანში?
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

იმას ვკადრულობთ, რასაც იმსახურებთ!

ვეტერანო მორაგბეებო, გეთაყვანებით, მაგრამ დაფიქრდით, ვინ ბღალავს თქვენს ავტორიტეტს?

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, ჩვენს გაზეთს, რომელმაც 70 წელიწადი მოათია ქართული სპორტის სამსახურში და პირნათლად მოიხადა ვალი ქართული რაგბის წინაშეც, სწორედ ვეტერანი მორაგბეები, თუ ასე უსამართლოდ მოგვექცეოდა და ბრალს დაგვდებდა იმაში, რაშიც ცამდე მართლები ვართ. ამაზე ქვემოთ. მანამდე შეგახსენებთ, რომ „ლელოს“ მიმდინარე წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა პასუხი შეკითხვაზე, თუ ვინ იყო საქართველოს მორაგბეთა პირველი გუნდის პირველი კაპიტანი. ვიყავით რა დარწმუნებული ჩვენს სიმართლეში, რისთვისაც საფუძველი უთუოდ გაგვაჩნდა, დავწერეთ, რომ „საქართველოს პირველი გუნდი 1959 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ამ გუნდის პირველი კაპიტანი იყო ნოდარ ყიფიანი“. პასუხს დაერთო ფოტო, რომელზედაც ნ. ყიფიანი აღბეჭდილია კაპიტნის სამკლაურით (ფოტო, შესაძლოა არ იყო გადაღებული 1959 წელს, ამისთვის მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია). ვინაიდან გაზეთის ბეჭდვისას შეიძლება საერთოდ არ გამოჩენილიყო კაპიტნის სამკლაური, რომელიც ისედაც მკრთალად ჩანდა ფოტოზე, კომპიუტერზე გავამკვეთრეთ. საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირმა ეს ჩაგვითვალა სიყალბედ, მაგრამ ამასთან, რაც მთავარია, რედაქციაში გამოგზავნილ წერილში „ირწმუნება“, რომ ნ. ყიფიანი არ იყო პირველი კაპიტანი.

რედაქციაში მიღებული საპროტესტო წერილი რომ უტაქტოდ და წერა-კითხვის უცოდინარის მიერაა დაწერილი, ამაში ქვემოთ დაგარწმუნებთ. ჯერ ნ. ყიფიანის კაპიტნობის დამადასტურებელ ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებს გაგაცნობთ. „გუნდის კაპიტანმა ნ. ყიფიანმა (**ხაზგასმა აქ და ყველგან რედაქციისაა**) გარდამავალი თასის მიღებაც კი ვერ მოასწრო, რომ... (გაზეთი „ლელო“, №5, 1962 წ.). „ჩემო ჯემალ, რომ იცოდე როგორი შეწუხებული ვარ შენ გამო... იმიტომ, რომ შენ მითხარი, რომ დამეწერა გაზეთებში, რომ შენ იყავი პირველი გუნდის რაგბის კაპიტანი და თურმე შენ კი არა — **ნოდარ ყიფიანი ყოფილა...**“ (ჟაკ ასპეკიანი, ამონაწერი მარსელიდან გამოგზავნილი წერილიდან. სტილი დაცულია — **რედ.**). სურათს, რომელსაც აქვე გთავაზობთ (იხ. მე-2 გვ.), რაგბში საქართველოს პირველი გუნდია ასახული. **მარცხნიდან პირველი ნოდარ ყიფიანია კაპიტნის სამკლაურით.** თუ ვინ იყო მათი პირველი კაპიტანი, სურათზე აღბეჭდილი თითოეული მორაგბე დაადასტურებს. „ქართული რაგბის დიდოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ყიფიანი, ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ჩვენში რაგბის თამაში დაიწყო. მანამდე იგი კარგი მძლეოსანი იყო და კალათბურთსაც არ თამაშობდა ურიგოდ. თამაში დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში. **ახოვანი და გამორჩეული ათ-**

იხ. მე-2 გვ.

მოჭიდავეებო, ნუ „ჭიდაობთ!..“



ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი ბაკურ გოგიტიძე) თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მთავარი მწვრთნელები ახლით შეცვალა, რაზედაც „ლელო“ უკვე იუწყებოდა. ორივე ნაკრებს წლევანდელი მოახლოებული საპასუხისმგებლო ასპარეზობების, კერძოდ, ევროპის ჩემპიონატი, წინ საერთო-ფიზიკურ მომზადებაში უნდა გაევლო შეკრება ბაკურიანში. „თავისუფლები“ იქ დათქმულ დროს ჩავიდნენ ახალი მწვრთნელის **ზაზა ტყეშელაშვილის** ხელმძღვანელობით, აი, „კლასიკოსები“ კი შეყოვნდნენ, უფრო სწორად, გაჯიუტდნენ და ულტიმატუმი წაუყენეს ფედერაციას, რომ არ წავიდოდნენ შეკრებაზე თუ ნაკრებს მთავარ მწვრთნელად კვლავ **ბეგი დარჩია** არ დაუბრუნდებოდა. ამ დროს ნაკრების ახალი თავკაცი ჭიჭეიშვილი ბაკურიანში ელოდა ნაკრებს. ამაოდ. გუნდი გაიფიცა. ულტიმატუმი: ან დარჩია, ან ფეხსაც არსად გავდგამთ, თქვეს და შეასრულეს! შეკრება ჩაიშალა. განხეთქილება, ცხადია, უყურადღებოდ ვერ ჩაივლიდა. პარლამენტშიც დაინტერესდნენ ამ საკითხით და სამართლიანადაც. კარგია, რომ სპორტის დეპარტამენტს ზომიერი პოზიცია უკავია და კომპეტენციას არ სცდება — რაც უნდა იყოს, ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და თავისი წესდებით საქმიანობს. ღრმად გვწამს, რომ ფედერაციასაც არ სურს კონფლიქტი, მისი მოგვარება კი გონივრული მიდგომითაა შესაძლებელი, რაც, გვერწმუნეთ, არ დააყოვნებს. ულტიმატუმები და მუქარები, მათ შორის ისიც, რომ ქართველი ფალავნები აიყრებიან და სხვა ქვეყნებში წავლენ, მიგვაჩნია, რომ ნაჩქარევია. ფედერაციას, ჩვენი ღრმა რწმენით, შესწევს უნარი პრობლემები უმტკივნეულოდ მოაგვაროს, თუნდაც ეს ნაკრების მწვრთნელად კვლავ ბეგი დარჩიას დაბრუნებას ეხებოდეს.

ნუ ავჩქარდებით, საქმეს, საერთო ინტერესებს, ქართულ სპორტს არ ვავნოთ, აი, რა არის მთავარი.

მიმომხილველი.

კახი კახიაშვილი საქართველოს მოქალაქეა!

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძალოსნობაში კახი კახიაშვილმა 1992 წელს მოიპოვა ეს ტიტული გაერთიანებულ გუნდში საქართველოს სახელით. მერე იგი, როგორც ცნობილია, საბერძნეთში გადავიდა, იქაური მოქალაქეობა მიიღო და კიდევ ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

კახი ამჟამად თბილისშია სტუმრად. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოიყენა რა თავისი საკონსტიტუციო უფლება, კახი კახიაშვილს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭა და ჩვენი თანამემამულე ამიერიდან კვლავ თავისი ქვეყნის მოქალაქე იქნება.

ისარგებლეთ ერთობლივი პროექტით

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა. ამ გაზეთის ფურცლებზეა დაუნჯებული წარსულ წლებში სპორტის ცალკეულ სახეობებში საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები მსოფლიო სპორტულ სარბიელზე, მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, საერთოდ, ქართულ სპორტში მიღწევები, ქვეყნის სპორტული მოძრაობის წინსვლის ცალკეული ეტაპები.

„ლელო“ აგრძელებს ტრადიციებს ნოვაციით — გთავაზობთ ერთობლივ პროექტს — დააფიქსირეთ თანამედროვე ეტაპზე თქვენი საქმიანობა, რაც მომავალს გაუადვილებს წარმოდგენას და შეფასებას თქვენს მიერ ქართული სპორტის სასიკეთოდ გაწეული ღვაწლის დასაფასებლად. ხელშეკრულებით ასეთი პროექტი უკვე რეალობად აქცია ჭადრაკის ეროვნულმა ფედერაციამ („მერანი“), კარატე დოს ეროვნულმა ფედერაციამ („კარატე დო“), სპორტკლუბმა „დინამომ“ („დინამოსპირეთი“) და ა.შ. პროექტი არაკომერციულია, ითვალისწინებს მხოლოდ სარედაქციო და სასტამბო მინიმალურ ხარჯებს.

დაგვიკავშირდით. დააფიქსირეთ თქვენი ისტორია მომავლისათვის.

ტელ: 99-56-14; 988. 55-48-97.

კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

„ავიამშენი“ რევანშს იწყებს...

გუშინ თბილისურ დერბში გათამაშების ორი ლიდერი „ავიამშენი“ და „დინამო“ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ეს უაღრესად პრინციპული შეხვედრა ავიამშენებელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა — 79:64. აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ ზედიზედ ორჯერ ჰქონდა მოგებული მეტოქისთვის. ახლა კი, როგორც იტყვიან, რევანშის დრო დადგა. იქვე, ვერის ბაღს საკალათბურთო დარბაზში თსუ-მ დიდი ანგარიშით 145:74 მოუგო სსუ-ს. რუსთავში „თუჯმა“ დაამარცხა „მაქაბი“ — 89:67.

„ფეხბურთის კარუზო“ აღარ გამეორდება

ბორის პაიჭაძე – 90

მსოფლიოს ფეხბურთის თანავარსკვლავთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს XX საუკუნის ჭეშმარიტ ლეგენდას, მრავალი ეპითეტებით შემკულ ბორის პაიჭაძეს, რომელიც 1915 წლის 3 თებერვალს დაიბადა ფოთში. 1970 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტში“ დასტამბულ ცნობარში ვკითხულობთ: „საბჭოთა ფეხბურთის განუმეორებელმა დიდოსტატმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ (ეს საპატიო წოდება მას 1944 წელს მიანიჭეს) ფეხბურთის თამაში 1927 წელს ფოთის სკოლის გუნდში დაიწყო. 1931-1934 წლებში იგი ფოთის გემთშემკეთებელი ტექნიკუმის გუნდში გამოდიოდა. 1935 წელს ბორის სოლომონის ძეს ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში ვხვდებით. დედაქალაქში ჩამოსვლის პერიოდში „დინამოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა უმაღლესი განათლების მიღება შეძლო. 1936-51 წლებში ფოთელი თავდამსხმელი თბილისის „დინამოს“ კაპიტნის სამკლაურით გამოდიოდა მწვანე მინდვრებზე. ლეგენდარულმა ბორის პაიჭაძემ 181 მატჩი ითამაშა საბჭოთა კავშირის პირველობაზე და 97 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში. იგი არის საბჭოთა კავშირის 1939 წლის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, მის სპორტულ დოსიეში ვკითხულობთ, რომ თბილისის „დინამოს“ ანალოგიური წარმატებისათვის ომის წინა — 1940 წელსაც მიუღწევია, 1936 წლის შემოდგომაზე „დინამომ“ მესამე ადგილი დაისაკუთრა. ბორის პაიჭაძის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა — 1946, 47 და 50 წლებში მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს მაშინდელ საკავშირო ჩემპიონატებში. 33 საუკეთესოთა შორის, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნებულა დინამოელთა თავდასხმის ლიდერს მე-5 ადგილი დაუკავებია. გამოდიოდა თბილისისა და ამიერკავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. ბორის პაიჭაძე 15 წლის განმავლობაში იცავდა თბილისის „დინამოს“ სპორტულ ღირსებას. ქართული ფეხბურთის ფლაგმანის — „დინამოს“ ბრწყინვალე ანსამბლის ლეგენდარულ მოთამაშეს ფილიგრანული ტექნიკა გააჩნდა, ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა, საუცხოოდ ერკვეოდა ნებისმიერ საფეხბურთო სიტუაციაში, ცნობილი გახლდათ კორექტული თამაშით, არასოდეს მიუღია შენიშვნა მსაჯისაგან. ერთი სიტყვით, რაინდი გახლდათ მწვანე მინდორზე და ასეთად დარჩა მთელ თავის ცხოვრებაში. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილე ყველა კლუბი ე.წ. „დუბლვეს“ სისტემით თამაშობდა. მარცხენა გარემარბს მხოლოდ თავის უბანზე უნდა ეწარმოებინა შემტევითი ოპერაციები, მარჯვენა გარემარბს მხოლოდ ფრთაზე ემოქმედა, ცენტრალურ თავდამსხმელს — შუაში და ა.შ.

ბორის პაიჭაძე, პირველი გახლდათ, რომელმაც დაამსხვრია ეს ძველმოდური სისტემა და მას „მოხეტიალე ფორვარდი“ შეარქვეს. 1954 წელს, დიდი სარბიელიდან წასვლის შემდეგ მან თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის თანამდებობა დაიკავა. იმ სეზონში ჩვენი კლუბი მხოლოდ VIII ადგილზე გავიდა.

მწვანე მინდვრის „შევარდენი“



ომისშემდგომი თაობის №1 სპორტის სახეობა, რა თქმა უნდა, ფეხბურთი იყო. იმ წლებში, თბილისის №1 ვაჟთა საშუალო სკოლაში (დღეს გიმნაზიადაა სახელწოდებული) ვსწავლობდი, სადაც ჭაბუკობის დაუვიწყარი წლები გავატარე. ჩვენი კლასის მოსწავლეთა საყვარელი კერპი ბორის პაიჭაძე იყო. 15-16 წლის ყმაწვილები სიხარულს ვერ ვფარავდით, როცა ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე მისი ხილვის საშუალება მოგვეცემოდა. ის დღე ჭეშმარიტი დღესასწაული იყო პირველსკოლელი ბიჭებისათვის. თითოეულ ჩვენგანს საერთო რვეულის ყდაზე ბორის პაიჭაძის სურათი გვქონდა ჩაკრული.

მახსოვს, ერთხელ, ჩემი რვეული სკოლის იმდროინდელ დირექტორთან, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სულმნათ ბავშვთა მწერალ ჯაჯუ ჯორჯიკიასთან ამოჩნდა. ჩვენმა დირექტორმა სათვალე გაიკეთა, რვეულს დახედა, მერე შემომხედა და მითხრა — გატყობ ყმაწვილო, ბორის პაიჭაძე გიყვარს. მოდი შენც ისე ისწავლე, როგორც შენი კერპი თამა-

იხ. მე-4 გვ.

იმას ვკადრულობთ, რასაც იმსახურებთ!

პირველი გვერდიდან

ლეტი გუნდის კაპიტნად აირჩიეს“ (დ. თაქთაქიშვილის წიგნიდან: „ქართული რაგბის სათავეებთან“, გვ. 47). წიგნში „ლელოს“ შვილები, ეხება რა 1962 წლის ერთ-ერთ დაძაბულ მატჩს, ავტორი გაბრიელ ბარჯაძე წერს: **„თავგამოდებით თამაშობდა გუნდის კაპიტანი ნოდარ ყიფიანი“.**

„რაგბის პირველი გუნდი რომ შეიქმნა, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1959 წელს, **პირველი კაპიტანი ნოდარ ყიფიანი იყო“** (ცეზარ დარჩიას წიგნიდან: „ქართული რაგბის ვარსკვლავები“ — გვ. 24).

ახლა უტაქტობის შესახებ. როცა რედაქციაში წერილს აგზავნი, თანაც გაზეთს ბრალს სდებ თითქოს კორექტურას არ მიაქცია ყურადღება, მინიმუმ შენ მაინც არ უნდა დაუშვა თუნდაც კორექტურა, დაწერილი ერთხელ მაინც უნდა წაიკითხო, ვიდრე ხელს მოაწერ. მაგრამ ავტორს რა მოეთხოვება, როცა ისიც კი არ იცის, რომ გაზეთს რედატორი ან მთავარი რედაქტორი ჰყავს და არა დირექტორი. თავშივე დაშვებული შეცდომა კიდევ არაფერი, მარგალიტები ქვემოთ ნახეთ. სხვათა შორის, ამ შეცდომებზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირიდან ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი წერილი არ მიგვეღო. რომელ ზნეობაზეა ლაპარაკი, როცა გამოგზავნილ წერილში გაკრიტიკებულია სამგლოვიარო განცხადება, რომელიც, ისევ და ისევ ვეტერანი მორაგბის დედის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებაში ვეტერან მორაგბეთა თანადგომა იყო გამოცხადებული. მიაქციეთ ყურადღება, რას გვწერენ: „რედაქციას არ ეკადრება... თქვენთან მოტანილი სამგლოვიარო განცხადების კორექტირების გარეშე გამოქვეყნება... ვეტერან მორაგბეთა კავშირი ღრმა მწუხარებაში (?!)“. გვითხარით მკითხველო, რა არის აქ გაუგებარი და რატომაა დასმული კითხვითი და ძახითი ნიშანი სიტყვა „მწუხარებაში“-ს შემდეგ? დაგვეთანხმებით, სიტყვის შინაარსს ყველა ვერ სწვდება თუ ის ტრაფარეტულად არაა ჩასმული წინადადებაში და პატივცემულ ოპონენტსაც, ეტყობა, ეს უბედურება სჭირს. ახლა სხვა ენახოთ: „თქვენც თავის დროზე მოგმართავთ თხოვნით“ (უნდა იყოს „მოგმართეთ“) და კიდევ, „მოგმართავთ უშუალოდ ჩვენთვის“ (უნდა იყოს „მოგემართათ“); „მოთხოვნა ნამდვილად გახლავთ“ (როგორია?!) ან ეს როგორია: „ეგრეთწოდებული „კორესპოდენტების“ (რატომაა ბრჭყალებში ჩასმული „კორესპონდენტები“, თუკი „ეგრეთწოდებულს“ ვამბობთ. თანაც ამ კაი ხალხს (ბოდიშით, ავტორს, ისიც არ სცოდნია, „კორესპონდენტი“ უნდა ვწეროთ თუ „კორესპოდენტი“. სასვენ ნიშნებზე და კიდევ სხვა უვიცობაზე აღარაფერს ვამბობთ. დასანანია, რომ ამ ტონში გვიწევს გამოპასუხება, მაგრამ, რაც გვაკადრეს, იმასვე ვუბრუნებთ!

ისე, გვინდა ჩვენთვის ყველასათვის სათაყვანებელ დიდებულ ვეტერან მორაგბეს და ასევე დიდებულ პიროვნებას **ირაკლი კიზირიას** ვთხოვოთ: როგორც საქართველოს ვეტერან მორაგბეთა პრეზიდენტი, ნუ მისცემს ნებისმიერ პიროვნებას უფლებას კავშირის ბლანკზე წერონ გაუაზრებელი წერილები და აგზავნონ სხვადასხვა ინსტანციებში, მით უმეტეს, როცა ბლანკზე პრეზიდენტის გვარს მიუთითებენ, წერილს კი ბოლოში, მერე ხელს ვიღაც სხვა აწერს, თანაც ისე, რომ მთლად გარკვეული არაა, ვინ მოაწერა ხელი წერილს, რომელმაც შემდგენელიც უხერხულობაში ჩააგდო და ჩვენც. გვაპატიეთ, ჩვენთვის დიდად პატივცემულო ქართული რაგბის ვეტერანებო, მაგრამ გთხოვთ ნურავის მისცემთ უფლებას ისარგებლონ თქვენი დამსახურებით და ავტორიტეტით.

მიმომხილველი.

დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი...

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი 8, 10, 12 და 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო ქალაქ თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის მე-9 კომპლექსური სკოლა (სკოლის დირექტორია მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თემურ ყაზარაშვილი, ხოლო დირექტორის მოადგლე — თბილისის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით კალმახელიძე).

დებულების თანახმად, თითოეულ მონაწილეს მოსაფიქრებლად 25 წუთი ეძლეოდა. სულ ჩატარდა ორი ტურნირი, შესაბამისად 8-10 და 12-14 წლამდელთათვის, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად. 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ვაჟთა შორის საუკეთესო იყო რეზო აბესაძე, რომელმაც 4,5 ქულა მოაგროვა. მეორე-მესამე ადგილები 4-4 ქულით გაიყვეს ნიკა გუმსიაშვილმა და სულხან კიკნაძემ. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით, მეორე ადგილი გუმსიაშვილს მიეკუთვნა. ამავე ასაკის გოგონათა შეჯიბრებაში მხოლოდ ორი მონაწილე იყო. მერი ქიაურელმა 3 ქულა მოაგროვა, ხოლო ელენე საპანაძემ — 1,5.

10-წლამდელ ვაჟთა შორის 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს ილია ზუმბულიძემ, გიორგი ლომიძემ და შალვა ნადირაშვილმა. უკეთესი კოეფიციენტით პირველადგილოსანი ზუმბულიძე გახდა, ხოლო მეორეადგილოსანი — ლომიძე.

გოგონათა შორის უძლიერესი იყო დეა გოგიშვილი, რომლის ანგარიშზეც 5,5 ქულაა. 5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ნატო იმნაძე, ხოლო 4,5 ქულით მესამეზე — ნანი უნაფქოშვილი. ამ უკანასკნელმა ისპარეზა აგრეთვე 12-წლამდელთა შეჯიბრებაში და მეორე ადგილი დაიკავა. ის ჩამორჩა მარიამ დანელიას. ამავე ასაკში მესამე იყო ნატო ქველაძე. 12-წლამდელთა ვაჟებში ყველაზე მეტი — 6 ქულა მოაგროვა გიორგი ნიკოლაშვილმა, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა ნიკა ვოლკოვი. 5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა ლაშა კაჭარავა. 14-წლამდელთა შორის საუკეთესო იყო სალომე ხაჟომია, რომელიც ბიჭებს არ შეეპუა და ყველაზე მეტი — 6 ქულა მოაგროვა. მას ქულით ჩამორჩნენ ელგუჯა ლალიაშვილი და აჩიკო ამირხანაშვილი. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით ლალიაშვილს მეორე ადგილი მიენიჭა.

ამავე ასაკის გოგონათა ტურნირში უძლიერესი იყო თაკო სამნიაშვილი, რომელმაც 4,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე გავიდა სალომე ხაჟომიას ტყუპისცალი — ანუკი. 4 ქულით მესამე იყო მარი ბაიაძე.

«რისკის» ურისკო პერსპექტივა

ურისკო პერსპექტივაო, რომ ვამბობთ, ის იგულისხმება, რომ კარატეს სპორტკლუბი „რისკი“ უკვე ფეხზე მყარად დგას და მომავალსაც იმედით შეჰყურებს. კლუბი 1992 წელს აღმოსავლური ორთაბრძოლების კლუბად ჩამოყალიბდა სერგო ქოჩორაშვილის ხელმძღვანელობით. ის, რომ თავად კლუბის ხელმძღვანელი სრულყოფილად ფლობს კარატე-დოს, შიტორიუს, კინგბოქსინგს და შოტოკანს, საქართველოს მრავალგზის პრიზიორი, კარატეში ბევრს ნიშნავს. არსებობის 10 წლისთავზე „რისკი“ კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში გაერთიანდა (პრეზიდენტი კახა ბასილია), რაც უდავოდ სწორი ნაბიჯი იყო.

„რისკი“ მოიცავს გლდანი-ნაძალადევის ტერიტორიას და ქვემო ქართლის რეგიონებს. თბილისში ცენტრია 159-ე სკოლა, სადაც პარასკეობით კლუბის ნაკრები ვარჯიშობს. კლუბის წევრები წარმატებით გამოდიან ყველა რანგის შეჯიბრებებში. მაღალი წარმატებებით განსაკუთრებით 2004 წელი აღინიშნა — კლუბს შეემატა შავი ქამრისა და „კავკასიის თასის“ მფლობელი. ყოველი წლის ბოლოს ვლინდება 5 საუკეთესო სპორტსმენი და საუკეთესო ინსტრუქტორები. შარშან ესენი იყვნენ დათო ლვინიაშვილი, ოთარ ხეთაგუროვი და ლევან ქოჩორაშვილი. კლუბის რჩეულები არიან: გიორგი ქოჩორაშვილი (14 წლის, შავი ქამრის მფლობელი (II დანი), კლუბის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული და პრიზიორი), ლუკა ქოჩორაშვილი (10 წლის, შავი ქამრის მფლობელი (I დანი), კლუბის ჩემპიონი, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი კარატეს სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული და მრავალგზის პრიზიორი, 2003-2004 წლების ყველა ტურნირის პრიზიორი); ეთერ ბერიანიძე (14 წლის, შავი ქამარი, კლუბის მრავალგზის ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო ტურნირის მრავალგზის პრიზიორი); კლუბის ჩემპიონები და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების ჩემპიონები და პრიზიორები არიან სერგო ბერიანიძე, გიორგი ბალახაძე, ალისა და ვოვა ხანიანები (ოთხივე — ყავისფერი ქამარი), ხატია ტვილდიანი (მწვანე ქ.), გიორგი თევდორაშვილი (ლურჯი ქ.), ირაკლი ლელუაშვილი (ლურჯი ქ.), რატი თოდუა (ყვითელი ქ.), აგრეთვე აკაკი რომელაშვილი, კარლო სულხანიშვილი და სალომე ლეკიშვილი (ყველა — თბილისი).

კლუბი თანადგომისათვის დიდად ემადლიერება ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს კახა ბასილიას, 169-ე და 142-ე სკოლის დირექტორებს ლალი გორდაძეს და სოსო ლაგვილავას, ფიზ.აღზრდის მასწავლებლებს, მე-80 ბაგა-ბაღის გამგეს მედეა სულიაშვილს, გარდაბნის სპორტსკოლის დირექტორს ლიანა ზაალიშვილს, თეთრი წყაროს სპორტის მენეჯერს თენგიზ ჩარკვიანს, სოფ. კოდის კულტსახლის დირექტორს მზია ფარსადანიშვილს და სამხატვრო ხელმძღვანელს ნანული ოქრიაშვილს.

კლუბი კვლავ იწვევს გოგო-ბიჭებს.

ცოტნე ბაქრაძე.

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.

«ნინოობაზე»

როცა ჰაერის ტემპერატურა ნულს ქვემოთაა და ამ დროს ნახერხმოყრილ ღია საჭიდაო წრეში ბრძოლის ჟინით ანთებულ ყმაწვილებს უყურებ, უმალ გაიფიქრებ, ქართული ჭიდაობა ნამდვილად არ მოკვდება...

წლეულს, პირველად, შუა ზამთარში, ღია მოედანზე, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში „ნინოობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა.

ნინოწმინდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სიახლოვეს გალავანთან ლობეებზე და კასრებზეც კი იდგნენ ჭიდაობის ქომაგები, მწვავე შერკინებებისთვის რომ მოეკრათ თვალი. ყველა პირველი რიგებისაკენ ცდილობდა გაძრომას. საჭიდაო წრის გარშემო ენერგიულად იცავდა წესრიგს „განის გამშლელი“ **თამაზ კევლიშვილი.** შუამავალი მსაჯი **კახა ყორღანაშვილი** კი მოსეირეთა შორის არჩევდა მოპაექრეებს. წრეში გასვლის მსურველთა რიცხვი თანდათან მატულობდა. განსაკუთრებით პატარები აქტიურობდნენ. „ნინოობის ჭიდაობა“ ძველქართული ადათით ჩატარდა — არავითარი სასწორი და წონითი კატეგორიები. ამ დღეს არც ჩემპიონი გამოვლენილა. უბრალოდ, ხალხმა დიდი სიამოვნება მიიღო. საუკეთესო ფალავნად კი ნინოწმინდელი **ზურაბ ტოპეშაშვილი** დაასახელეს. ქართული ჭიდაობის ფედერაციის სახელით მას პრიზად ხანჯალი გადასცეს.

ტურნირს ესწრებოდა ლეგენდარული **ლევან თედიაშვილი** („გალმაუბნელი“), რომელსაც არაერთხელ უჭიდავია ნინოწმინდის საჭიდაოზე.

ბარჯი გაბოძე,

სოფელი ნინოწმინდა, საგარეჯო. ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.

— მატიანე

50 წლის წინათ...

◆ ორჯონიკიძე (ხარაგაული). კალთბურთში საშუალო სკოლებს შორის პირველობა მოიპოვა დაბის საშუალო სკოლამ, 8-წლიანი სკოლებიდან სოფ. საღანძილის ვაჟთა და სოფ. ლაშეს გოგონათა გუნდებმა. მძლეოსნობის ცალკეულ პროგრამაში საუკეთესონი იყვნენ მ. ბლიაძე, გ. გოგოლაძე, გ. ხარაძე, ჯ. მაღრაძე და ე. ლაცაბიძე.

◆ სტალინირი. ქალაქის პირველობის ამანათრბენი ვაჟთა შორის მოიგეს პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა, ქალებში უძლიერესი იყო ქალაქის მესამე საშუალო სკოლის გუნდი.

◆ 30 იანვარს „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე დიღომში, საწვრთნელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოს“ და ოფიცერთა სახლის საფეხბურთო გუნდები. „გამოცდილი ოსტატების ლოლობერიძის, მარღანიას, გაგნიძის, ნორაკიძის, ჯოჯუას და სხვათა გვერდით წარმატებით თამაშობდნენ ახალგაზრდები ხოჭოლავა, კურტანიძე, რამიშვილი, ხუნდაძე და სხვ.“

საქართველო – ლიტვა გოლით დაბრუნებული

ამხანაგური მატჩი

თბილისი. 9 თებერვალი. სტადიონი „ლოკომოტივი". 2 000 მაყურებელი.

საქართველო – ლიტვა 1-0
(ეროვნული ნაკრებები)

საქართველო: ლომაია, მქავანაძე (შაშიაშვილი, 46), ამისულაშვილი, კვირკველია (კვარაცხელია, 46), სალუქვაძე, გოგიტა გოგუა (ოდიკაძე, 80), ქინქლაძე, აშვეთია, ჯაკობია (გიგიაძე, 46), ასათიანი (გოგობერიშვილი, 69), ხიზანიშვილი.

ლიტვა: კარჩემარსკასი, შემბერასი (ე. იანკაუსკასი, 81), სტანკიავიჩუსი, ბარასა, სკერლა, ქვირგდაუსკასი (ქუტაუტასი, 88), სკარბალიუსი, ე. ჩესნაუსკისი, გედგაუდასი (კისისი, 58), დ. ჩესნაუსკისი, პოშკუსი (რადჟინევიჩუსი, 42).

გოლი: 1-0 აშვეთია (60).

გააფრთხილეს: ჩესნაუსკისი (33), ხიზანიშვილი (53).

გააძევეს: სკანკიავიჩუსი (38).

მსაჯები: ზ. გადიევი, ი. ალიევი, ა. ალაკბეროვი (ყველა — აზერბაიჯანი), ლ. კვარაცხელია (საქართველო).

მატჩის ინსპექტორი: ა. მილჩენკო (საქართველო).

ეროვნულ ნაკრებთა მატჩი ახალგაზრდული გუნდების შეხვედრას ბევრი რამით ჰგავდა. — დებიუტანტები და დიდი ხნის განშორების შემდეგ დაბრუნებული ძველი გვარდიის რამდენიმე წარმომადგენელი, რომელთა ნაკრებში გამოჩენას გულშემატკივარი კარგა ხანს და მოუთმენლად ელოდა. ეროვნულ გუნდს დაუბრუნდნენ გიორგი ქინქლაძე, და მიხეილ აშვეთია. ერთს უგუნდობა და უთამაშებლობა, მეორეს კი უმძიმესი ტრავმები სტანჯავდა. საბედნიეროდ, როგორც მატჩში გამოჩნდა, ორივე ფეხბურთელისთვის მძიმე წუთები წარსულს ჩაბარდა. ქინქლაძე ძნელად, მაგრამ მაინც ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას და რამდენიმე ეპიზოდში ჩვეული ოსტატობაც გამოავლინა. აშვეთია სრულად გამოჯანმრთელდა და ნაკრებში გოლით დაბრუნდა. ამხანაგური მატჩის ფორმატმა ქირესს საშუალება მისცა ყველა ფეხბურთელი შეემოწმებინა, უწინარესად დებიუტანტები გოგუა, ოდიკაძე და გიგიაძე. სრულად იდგა კარში ლომაია, სასტარტოში გამოჩნდა ჯაკობია. გუნდის ლიდერის ასათიანის აქტიურობას და ზუსტ პასს აშვეთიამ ჩვეული სიჩაუქე შეაშველა, გამარჯვების გოლი შეაგდო და ეროვნულმა გუნდმაც სეზონი წარმატებით დაიწყო. ახლა ორივე ნაკრები თვეზე მეტ ხანს შეისვენებს, მარტის ბოლოს კი თბილისში დიდი სტუმრიანობაა. ოთხი დღის ინტერვალით 26 და 30 მარტს, გვეწვევიან ევროპის ჩემპიონი ბერძნები და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი თურქები. ამ მატჩებით ქართული სანაკრებო გუნდები მსოფლიოსა და ევროპის შესარჩევ ციკლებს გააგრძელებენ.

მიხეილ საბახტარიშვილი

მატჩის შემდეგ:

გია გურული: „ყველა ფეხბურთელი მომზადებას გადის და შესაბამისად ჯერ ფორმაში არ არიან. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ყველანი ნაკრებში სათამაშოდ ჩამოვიდნენ და გამოამჟღავნეს ის ჟინი და შესაძლებლობა, რომელსაც ნაკრები მოითხოვს. საერთო ჯამში კმაყოფილები ვართ.

ზურაბ ხიზანიშვილი: „მართლაც მოულოდნელი იყო ქირესის გადაწყვეტილება, რომ კაპიტანი ვყოფილიყავი. მაგრამ პირადად მე, პირველ რიგში თამაშსა და შედეგს ვაქცევ ყურადღებას, რაც პირველ რიგში საჭიროა. მინდა მადლობა გადავუხადო ქირესს ყველაფრისათვის. რაც შეეხება თამაშს, კარგი და საინტერესო გამოდგა. მართალია, მინდორი ცუდი იყო და თამაში გაგვიჭირდა, მაგრამ ის შედეგი ნამდვილად ვანახეთ მაყურებელს რასაც ელოდნენ".

გიორგი ლომაია: „ძალზედ გამეხარდა, როდესაც ქირესმა ჩემზე შეაჩერა არჩევანი. რაც შეეხება შეხვედრას და შედეგს, ბიჭებმა ის გააკეთეს, რაც შეეძლოთ და შედეგიც ლოგიკურია".

ლ. ჯანკოტაძე.

ვაი, ფეხბურთის ასეთ სიყვარულს...

იყო დრო, ქართველთა საფეხბურთო განსწავლულობა, ქომაგობა, მეტოქე გუნდის პატივისცემა, საკუთარი ღირსების გრძნობა, ობიექტურობა სამაგალითო იყო, მაგრამ ამჟამად ვითარება, სამწუხაროდ, უარესობისკენ შეიცვალა. ნუთუ, ყველა ღირსება ერთბაშად წაიშალა, დაიკარგა ის მცირედიც, რითაც მუდამ გვქონდა სიამაყის უფლება? უზრდელობა, უხეშობა, სისასტიკე და კიდევ ვინ იცის, რა უბედურება თან სდევს დღესდღეობით, თბილისში გამართულ საფეხბურთო მატჩებს. გამონაკლისი არც ლიტველებთან ჩატარებული ამხანაგური შეხვედრა იყო. პირიქით, ბოთლების სროლას, ახლა თოვლის გუნდები და ბილწსიტყვაობა, სტუმრის უშვერი გინება დაემატა. თინეიჯერები მოედანზე და გასახდელშიც იჭრებიან. რა ხდება, რას ვამკვიდრებთ, ფეხბურთის გულშემატკივრებო?

უქომაგეთ თქვენს გუნდს, გაიხარეთ, სხვაც გაახარეთ, თუ არა, ამგვარი საქციელით თქვენც და სხვაც, საერთოდ, საქართველო უფეხბურთოდ დარჩება. არასასიამოვნო შედეგი უკვე მოვიმკეთ: ახალგაზრდულ ნაკრებს უახლოესი ოფიციალური შესარჩევი მატჩის ჩატარება უმაყურებლოდ, უქომაგოდ მოუწევს. აი, სადამდე მივიყვანეთ საქმე ვაიგულშემატკივრობით, ვითომდა, ფეხბურთისა და ფეხბურთელების სიყვარულით. დავფიქრდეთ!

ვიაროთ თანხმობის გზით!

სფფ-ს ყრილობა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მორიგი ყრილობა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა იმ თავყრილობებისაგან, რომლებსაც სპორტული ფედერაციები თანხმობა-სიამტკბილობით ატარებენ ხოლმე. მაგრამ განსახილველი საკითხები ასეთი სიმშვიდით ჩათავდა თუ არა, სფფ-ს გუშინწინდელ ყრილობაზე სიტყვა საფეხბურთო კლუბ „თბილისის" პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ ითხოვა და თავისი გამოსვლა იმის კრიტიკით დაიწყო, რომ ფედერაციის მწვრთნელთა საბჭო არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებებს იღებს 17 და 19-წლიანთა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელთა შერჩევისას. კერძოდ, სფფ-ს აღმასკომში თითქოს ამ საქმისთვის არაკომპეტენტური ხალხია და გადაწყვეტილება გამოაქვთ უმრავლესობის ნებით, რომლებსაც ისინი შეადგენდნენ ამ სათაბირო ორგანოში. ერთია, გაგაჩნდეს საკუთარი მოსაზრება და მეორე — დაასაბუთო იგი. ხსენებული „უმრავლესობა" ჩვენი აზრით, არ გამოდგება საბუთად თუნდაც იმიტომ, რომ მათ გარდა აღმასკომში სწორედ ისეთი პერსონებიც არიან, რომელსაც „ოპოზიციაც" ენდობა. თუ ისინი რომელიმე კანდიდატურას მწვრთნელის პოსტზე მხარს უჭერენ, ე.ი. მათი აზრი კომპეტენტურია, მაგრამ თუ სხვებიც ეთანხმებიან, ეს მათი უფლებაა. პარლამენტშიც არის უმრავლესობა, მაგრამ, ვთქვათ, იურიდიულ სფეროში გადაწყვეტილების მიღებაზე თანხმობას მხოლოდ ამ დარგის სპეციალისტებს კი არა, ყველა პარლამენტარს სთხოვენ და კენჭს უყრიან. ეს სულაც არაა სადავო საკითხი სათათბირო თუ საკანონმდებლო ორგანოში. როგორია ის ახალი წესი, რომლითაც უნდა შეირჩეს მწვრთნელები და გადაწყდეს სხვა საკითხები. ოპოზიცია ამაზე ორჭოფობს, იცის მხოლოდ ის, რომ ახალი წესი უნდა დამკვიდრდეს, მაგრამ როგორი? ვლადიმერ გუცაევმა ოპონენტებს შესთავაზა სამი წინადადება, თუ როგორ დაამტკიცონ მწვრთნელები (ლაპარაკია ისევ და ისევ 17 და 19-წლიანებზე). ამ წინადადებიდან ორი გაბათილდა და ისევ და ისევ შეჩერდნენ მწვრთნელთა საბჭოს პრეროგატივაზე, რომლის გადაწყვეტილებას სფფ-ს აღმასკომი დაამტკიცებს.

ყრილობამ იმ გრაფიკით იმუშავა, რომელიც „ლელოს" წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ. წინა ყრილობიდან გაწეული მუშაობის ანგარიში ყრილობას ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ წარუდგინა. უნდა ითქვას, რომ ერთად თავმოყრილი გაკეთებული საქმე, მართლაც შთამბეჭდავად წარმოჩნდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მიღწეული, თამამად წინსვლის მყარი საფუძველი გახდება.

რაც მთავარია, ყრილობამ დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სფფ-ს ხელმძღვანელობა სულაც არ ახვევს თავს ვინმეს ისეთ პოზიციას, რომელიც მხოლოდ მისთვისაა სასურველი და ანგარიშს არ უწევს სხვათა აზრს, პირიქით, ზემოხსენებულ შემთხვევაშიც მერაბ ჟორდანიამ არაერთხელ დააფიქსირა, რომ უნდა გამოიძებნოს ყველაფრისთვის მისაღები კომპრომისი და რომ არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაჭრა შეუძლებელია თუ ამ პრობლემას გონივრულად მივუდგებით. აი, ასეთი პოზიციაა მთავარი და არა განხეთქილების გზით სიარული...

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.

FIFA
For the Good of the Game
UEFA

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერება ამხანაგურად

ამხანაგური მატჩი

თბილისი. 9 თებერვალი. ეროვნული სტადიონი. 2.000 მაყურებელი

საქართველო – ლიტვა 1-0
(ახალგაზრდული ნაკრები)

საქართველო: შეყრილაძე, ჭიღლაძე (გიგაური, 90), ლვინიანიძე, ჩიკვილაძე, ლომიძე, რ. გეწაძე (მიქიაშვილი, 75), კანკავა, კაციტაძე (ბესარაშვილი, 22), გურული (გ. ნოდარის-ძე ჭელიძე, 81), ხოჯავა (განუგრავა, 88), ს. იაშვილი (გოცირიძე, 89).

ლიტვა: მოლინაუსკასი, ბაგუზისი (სტანჩაიტისი, 46), მაიუსი, კაზლაუსკასი (პოვილასი, 80), სკრობლასი, ივაშკევიჩუსი (კავალიუსკასი, 46), რიმკევიჩუსი, მიკოლიუნასი, ნავიკასი, პანკა (ვიჩიუსი, 68), შერნასი (ლუკშა, 58).

გოლი: 1-0 გურული (55 პ.).

გააფრთხილეს: ნოვიკასი (37).

მსაჯები: ლ. სილაგავა, ა. ნონიკაშვილი, გ. დოგრაშვილი, გ. ვადაჭკორია (ყველა საქართველო).

მატჩის ინსპექტორი: ო. გუნთაძე (საქართველო).

ქართულ-ლიტვურმა საფეხბურთო დაპირისპირებამ უდავოდ გაამართლა. უპირველესად იმით, რომ ორივე ქართულმა ნაკრებმა სეზონი გამარჯვებით დაიწყო. აღსანიშნავი ისაა, რომ ბალტიელი სტუმრები უძლიერესი შემადგენლობებით გვეწვივნენ. სტუმრებს მასპინძლები კი ორივე მატჩში სახეცვლილი, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობით დაუხვდნენ. განსაკუთრებით ახალგაზრდული გუნდი შეიცვალა. მიზეზი თითქოს ბანალურია, ტრავმები... და გასაკვირი არხეინობა ჩვენი ფეხბურთელების შინაური თუ საგარეო კლუბების ხელმძღვანელების, რომელთაც მოთამაშენი სანაკრებო შეკრებაზე არ გამოუშვეს. თუმცა, ახალგაზრდულ ნაკრებს ისე გამოუვიდა, როგორც ერთ მოსწრებულ ანდაზაშია — „ზოგი ჭირი მარგებელია". შესარჩევი ციკლიდან დაწყებული, ამხანაგური მატჩებით დამთავრებული, ახალგაზრდულ ნაკრებს ერთიანი ძირითადი შემადგენლობით არ უთამაშია, ადრე ეს ფეხბურთელთა უდისციპლინობით უფრო იყო გამოწვეული, ახლანდელი მიზეზები კი ზევით აღვნიშნეთ, რაზეც გოჩა ტყებუჩავამაც ილაპარაკა პრესკონფერენციაზე. მწვრთნელს ახალი ფეხბურთელების ნახვისა და გამოცდის საშუალება მიეცა და მათი უმრავლესობის მზადყოფნით ნაკრების თავკაცი კმაყოფილი დარჩა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ორივე ნაკრებში საუკეთესო სანდრო იაშვილი იყო. საწყენი ისაა, რომ ამ უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელის პოტენციალი სანაკრებო დონეზე სრულად ჯერ კიდევ გამოუყენებელია. სანდრომ მეტოქის დაცვითი ბასტიონების რღვევა და მცველების რბევა მატჩის საწყისი წუთებიდან დაიწყო. მე-5 წუთზე გეწაძის პასი მიიღო და კარისკენ ძლიერად დაარტყა. წუთის შემდეგ ისევ იაშვილმა შეამოწმა სტუმართა მეკარის სიფხიზლე. შემდეგ მეტოქემაც შემოგვიტია ორჯერ ზედიზედ, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე წუთში, ლიტველთა კარს კვლავ სანდრო დაემუქრა. აქტიური ფორვარდს თანაგუნდელებიც აჰყნენ. ახლა ხოჯავამ შეუმოწმა მალინაუსკასს ოსტატობა. ლიტველები ქართველების შეტევების განეიტრალებას, ერთი შეხედვით, მწყობრი თამაშით ცდილობდნენ. სტუმართა ეპიზოდურ შეტევას მასპინძლებმა იაშვილის ნაღდი საგოლე იერიშით უპასუხეს. თუმცა, თავდამსხმელს არ გაუმართლა და საჯარიმოში შესულმა ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. ტაიმის ბოლო წუთები მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ჯერ ლვინიანიძეს, მერე გეწაძეს შეეძლო ანგარიშის გახსნა. მწვრთნელების დარიგების და მოსვენების შემდეგ თბილისურ ყონვას შეჩვეულმა მეტოქეებმა მეორე ტაიმში თამაში გამოაცოცხლეს და ისევ და ისევ დაუოკებელი იაშვილის წყალობით, მასპინძლებს ერთიმეორის მიყოლებით ორჯერ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ სტუმრები ჯერ მცველმა, მერე მეკარემ იხსნა. ბოლოს და ბოლოს, თავდამსხმელის ასეთ აქტიურობას გოლი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. იაშვილი მორიგი შეტევისას ლიტველებმა საჯარიმოში მოცელეს, პენალტი ფორვარდის სეხნიამ, სანდრო გურულმა ზუსტი დარტყმით გოლად გარდასახა. ეს მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა. დარჩენილ ნახევარ საათში თამაშის სურათი ბევრად არ შეცვლილა. მასპინძლები უტევდნენ, სტუმრები კონტრიერიშებს ახორციელებდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. სასიხარულო ისიც არის, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა, თითქმის განახლებული შემადგენლობით ნავსი გატეხა და წაგებათა სერია გამარჯვებით შეწყვიტა. ლიტველებთან პაექრობის სტატუსს აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარია, მოვიგეთ და მნიშვნელოვან შესარჩევ მატჩებს კარგ ხასიათზე შევხვდებით.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.

მარბელას თასი

«დინამომ» მოგებით დაასრულა

„ზენიტთან" და „შახტართან" დამარცხების შემდეგ თბილისის „დინამომ" ძალები მოიკრიბა და მელქაძის ორი ოსტატური გოლით რუსული „სპარტაკი" ოთხთა ტურნირის ფსკერზე დატოვა. მატჩი „დინამოს" უპირატესობით დაიწყო და მათი გამარჯვებით 2-1 დასრულდა. მოგებული მატჩში თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ზოიძე, ორბელაძე, სილაგაძე, ჭიჭველიშვილი, რომერო, კანდელაკი, გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (ნემსაძე), ბაბუნაშვილდი (კაშია), ჯამარაული, კაკალაძე, მელქაძე (დვალი). „დინამოს" საწვრთნელი შეკრება დაასრულა და გუშინ, შინ დაბრუნდა. რამდენიმე დღეში კი თასის გათამაშების გადატანილი და ეროვნული პირველობის საწყისი მატჩი ელის.

„ფეხბურთის კარუზო" აღარ გამეორდება

პირველი გვერდიდან

შობს. თმაჭაღარა დირექტორს შევპირდი, რომ ასე მოვიქცეოდი...

მოგონებათა სკივრიდან მინდა ამოვიღო ერთი ისტორიული მატჩი, რომელიც თბილისში 1946 წლის (კვირას) 26 აპრილს „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა. სწორედ იმ დილით ვენიდან, ხანმოკლე შვებულებით მამაჩემი, გვარდიის პოლკოვნიკი ვიქტორ ქირია ჩამოვიდა. ავსტრიის დედაქალაქიდან მან ბავშვობაში ნანატრი (დაშლილი) ველოსიპედი ჩამომიტანა და მითხრა: — სახლში დარჩი, ველოსიპედი ავაწყოთ, სხვა საჩუქრებსაც გაჩვენებ. — რას ამბობ მამა, დღეს „დინამოს" სტადიონზე 6 საათზე ისტორიული მატჩია, ჩვენი „დინამო" პაიჭაძის ხელმძღვანელობით, მოსკოვის „დინამოს" ხვდება. ბიჭები დარწმუნებული ვართ, რომ დღეს ჩვენები მოიგებენ. მამაჩემმა უარი ველარ მითხრა და მეც მზადებას შევუდექი. ეზოდან თანაკლასელთა შეძახილები მომესმა, ჩვენი ხუთეული — ელგუჯა ვაშაძე, ოთარ სარიშვილი, საშა კვერნაძე, ირაკლი გოჩიტაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი, ეზოდან გასვლას ვაპირებდით, როცა მეხუთე სართულის აივნიდან მომესმა ქუთაისური ინტონაციით გაჟღენთილი დედაჩემის ცნობილი წყევლა: — „შვილო, შენი კუბო დავდგი მაგ სტადიონზე, არ გადაყვი მაგ პაიჭაძეს!?" ბიჭებს ტრადიციული ხარხარი აუტყდათ.

იმ მართლაც ისტორიულმა შეხვედრამ არნახული ინტერესი გამოიწვია. ორი „დინამოს" სადებიუტო უვერტიურამ მასპინძელთა თავბრუდამხვევი იერიშებით ჩაიარა, მე-4 წუთზე „ფეხბურთის კარუზომ" გვერდი აუარა სამ მოსკოველთა მცველს, პირისპირ გავიდა ალექსეი ხომიჩთან, ბორისმა მუხლი ამოარტყა შინდისფერ ბურთს, რომელიც მოსკოველთა ბადეში შეგორდა. ესტონელი მსაჯის ელმარ საარის სასტვენმაც აღარ დააყოვნა — 1-0. ტრიბუნები ვეზუვის ვულკანს დაემსგავსა. იმ დაუვიწყარი მატჩის ჭეშმარიტი გმირი დინამოელთა ლეგენდარული კაპიტანი ბორის პაიჭაძე გახლდათ. იგი ისე დანავარდობდა სტუმართა მცველებში, როგორც მიმინო წიწილების გროვაში. გეტყვით იმას, რომ მასპინძლებმა ის დაუვიწყარი მატჩი 3-2 მოიგეს. იყო ერთი შემთხვევაც, როცა საარმა მოსკოველთა კარში მეოთხე ასპროცენტიანი ბურთი არ ჩათვალა, მაყურებელთა ერთმა ნაწილმა მას წითლად შეღებილი (26 აპრილი აღდგომა გახლდათ) კვერცხები დაუშინა. გახარებულმა მეგობრებმა პლეხანოვის გამზირზე ერთ პატარა კაფეს მივაშურეთ და თბილისის „დინამოს" ისტორიული გამარჯვება მშობლიური რვა ნომრით (ღვინით) აღვნიშნეთ.

მეორე დილით, სკოლაში ყველას პირზე ეკერა მასპინძელთა ბრწყინვალე გამარჯვება, ფიზკულტურის მასწავლებელი შალვა ფანცულიძე აღფრთოვანებული სახით გვატყუებდა, რომ ბორია პაიჭაძე ჩემი ძველი მეგობარიაო. რაოდენი მოქნილობა, მოსაზრებულობა, ვაჟკაცობა და შემართება იყო პაიჭაძის თამაშში. მისი სხარტი და მოძრავი ფიგურა ელვასავით გამოჩნდებოდა ხოლმე მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე, დაბნეულობა შეჰქონდა მის დაცვაში. პირდაპირ გეტყვით — შიშის ზარს სცემდა ყველაზე გამოცდილ მეკარეებსაც კი.

ცნობილი რუსი მწერალი სერგეი ბარუზდინი აღნიშნავდა: „ბორისს ყოველთვის ახასიათებდა ფეხბურთელის საუკეთესო თვისებები — მაღალი ტექნიკა და თავბრუდამხვევი შეტევა, ქარიშხალივით ამოვარდებოდა სტადიონზე, მაგრამ ამასთან მუდამ ფაქიზი, გონიერი და საკმაოდ მიზანსწრაფული მოთამაშე იყო".

ჩემი უფროსი კოლეგა, რადიოს ცნობილი კომენტატორი, პროფესორი ნოდარ ჯაფარიძე იგონებდა: „ერთხელ მოსკოვში ტაქსით ვმგზავრობდი. ჩემთვის მოულოდნელად მძღოლმა ფეხბურთზე ჩამოაგდო საუბარი და მითხრა: „თბილისის „დინამოს" თამაშზე მას შემდეგ აღარ დავდივარ, რაც მათ რიგებში ბორის პაიჭაძე აღარ გამოდისო. ამ ნაღვლიან სიტყვებთან ერთად ჯიბიდან ბორისის ფოტოსურათი ამოიღო და ორჯერ გადაკოცნა".

ოთარ გაგუას — დიდებული ნაშრომი

ქართული სპორტული ჟურნალისტიკის პირველ გაზეთ „ლელოში" რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ, 1958 წლის მიწურულს, მაშინდელ საკმაოდ პოპულარულ გაზეთ „თბილისის" ინფორმაციისა და სპორტის განყოფილებაში განვაგრძე მოღვაწეობა. 70-იანი წლების დასაწყისში, განყოფილების გამგემ ოთარ გაგუამ რთულ საქმეს მოჰკიდა ხელი. ნიჭიერმა ჟურნალისტმა განიზრახა დაესტამბა წიგნი „ფეხბურთის კარუზოს" შესახებ და მას სათაურად — „ბორის პაიჭაძე" უწოდა. ამ ბრწყინვალე ილუსტრირებულ ნაშრომში, რომელიც 1975 წელს დასტამბა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ", მრავალი საინტერესო ამბავია მოთხრობილი. ოთარ გაგუა ენდობოდა ჩემს მეხსიერებას და მთხოვა კორექტორული თვალსაზრისითაც წამეკითხა ეს ნაშრომი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოუტანა თვით ავტორს და პირველ რიგში ბორის პაიჭაძეს. აღნიშნული წიგნი ოთარ გაგუამ ხელმეორედ — 1990 წელსაც გამოსცა.

შემთხვევა პლეხანოვის გამზირზე

ერთხელ, კვირა საღამოს ბორის პაიჭაძე იმდროინდელ პლეხანოვის გამზირზე სეირნობდა. შემთხვევით ვიღაც ახალგაზრდამ გაჰკრა მხარი. ფეხბურთის ჯადოქარმა ბოდიშის მოხდა დაპირა. „დაზარალებულმა" კი გაგულისებული ტონით მიმართა: შენ რა ფეხბურთელივით მეჯახები?

— იქნებ ვარ კიდეც, — სიცილით უპასუხა ბორისმა.

— ახლა ისიც არ მითხრა, რომ ბორის პაიჭაძე ვარო.

— დიახ, ბორია ვარ, პაიჭაძე, არაფერი შეგშლიათ.

— ერთი ამას დამიხედეთ, რას ბედავს? შენ მე სოფლიდან ჩამოსული ხომ არ გგონივარ? — ახალგაზრდამ ბორისზე საცემრადაც გაიწია. აურზაურმა გამვლელთა ყურადღება მიიქცია, მოჩხუბრებს შუაში ჩაუდგნენ. აყლმაყლის ამტეხ ახალგაზრდას ვერაფრით ამშვიდებდნენ: — რა უცხვირპიროა ეს კაცი, გაიძახის პაიჭაძე ვარო. — ვიღაცამ მართლაც იცნო პაიჭაძე, მივიდა იმ აგრესიულად განწყობილ ფეხბურთის ქომაგთან და უთხრა: — დამშვიდდი მეგობარო, ეს პიროვნება მართლაც ბორის პაიჭაძეა. დაგვიჯერე ამდენ ხალხს, ტყუილს ხომ არ გეუბნებით. — როგორც იქნა დააშოშმინეს ბუნტისთავი. ძალიან დარცხვენილმა ბოდიში მოუხადა „ფეხბურთის კარუზოს" და უთხრა: — აი, როგორი ყოფილხარ მოედნის ფარგლებს გარეთო. ეს სასაცილო ისტორია ჩემი ბავშვობის კერპს, მისი დაბადების 60 წელთან დაკავშირებულ საიუბილეო თარიღის წინ გავახსენე. ბატონმა ბორისმა ეს ეპიზოდი მისთვის დამახასიათებელი იუმორით გვიამბო და საკმაოდ ბევრიც გვაცინა.

პაიჭაძე ყველაზე საუკეთესოა

ომისშემდგომ წლებში, როცა ბორის პაიჭაძე მეტეორივით დაჰქროდა მწვანე მინდვრებზე და სასოწარკვეთილს ტოვებდა თავის მეურვეებს, ჩვენ, თბილისის „დინამოს" ქომაგები, თეფშისმაგვარი შავი რადიოს ირგვლივ ვისხედით და სულმნათ ეროსი მანჯგალაძის იმედზე ვიყავით. როცა ეთერში გაისმოდა მისი ხავერდოვანი ხმა, — ბურთი მიიღო ბორის პაიჭაძემ, ელვისებურად მიიწევს მოსკოველთა კარისკენ, მოატყუა ერთი მცველი, შემდეგ მეორე, მინდორზე წამოაწვინა მესამეც. დარტყმა! არის მეგობრებო, არის! — აღტაცებული განაგრძობდა მანჯგალაძე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. პაპიროსის ბოლით გატენილი ოთახი უმალ ჯოჯოხეთს ემსგავსებოდა.

ერთხელ თურმე, ციმბირში, ერთი მოხუცი ტყის მჭრელისათვის უკითხავს რომელიღაც ჟურნალისტს.

— ბაბუა, ფეხბურთი თუ გიყვარს და რომელი მოთამაშე მიგაჩნია უძლიერესად?

— ფეხბურთისა არაფერი გამეგება, მაგრამ ვიცი, რომ ყველაზე ძლიერი გუნდი თბილისის „დინამოა", ხოლო საუკეთესო მოთამაშე ვიღაც ბორის პაიჭაძეა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩემი შვილიშვილი ვოვკა, ამ კლუბის დიდი ქომაგია. როცა ბურთს ის პაიჭაძე მიიღებს, რადიოში აღარაფერი ისმის. თურმე ის ქართველი მეტოქეთა მცველების ნამდვილი რისხვაა. ვოვკას თავის რვეულში ერთი პოეტის პატარა ლექსიც ჩაუწერია, რომელიც ალ. ბეზიმენსკის ეკუთვნის.

„აჰა, მიქრის პაიჭაძე
და მის ფეხქვეშ მიწა ფეთქავს!
ვით ამტყდარი ქარაშოტი,
ელვასავით სივრცეს კვეთავს,
ბურთი მიაქვს ისე სხარტად,
ბურთი გააქვს ისე კოხტად,
მოგაგონებთ ქართულ როკვას".

ბორის პაიჭაძე მართლაც რაინდი გახლდათ მინდორზე. საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში იგი პირისპირ გასულა მეტოქეთა მეკარესთან. დინამოელთა კაპიტანმა ძლიერად დაარტყა კარში, მეკარემ აკრობატული ნახტომი შესრულა და თავი რკინის ძელს შეაჯახა. ფეხბურთელმა გონება დაკარგა. ბურთი პაიჭაძეს მიუგორდა, რომელსაც შეეძლო იგი ბადეში გაეხვია, მაგრამ დინამოელთა კაპიტანმა ეს შანსი არ გამოიყენა. პაიჭაძე გონებადაკარგულ მეკარესთან მიიჭრა და მის მოსულიერებას შეუდგა. მალე კარის დარაჯთან სამედიცინო პერსონალი გაჩნდა. ტრიბუნებზე მსხდომი მაყურებელი მქუხარედ უკრავდა ტაშს ბორისს ასეთი რაინდული საქციელისთვის.

სურათზე თქვენ ხედავთ, თუ რა დღეში ჩააგდო ბორის პაიჭაძემ მოსკოვის „დინამოს" დაცვა და მეკარე ვალტერ სანაია

ბორის პაიჭაძემ ჯერ კიდევ სიცოცხლეში აიგო უკვდავების ძეგლი, რომელიც დღეს მისივე სახელობის „დინამოს" ეროვნულ სტადიონს ამშვენებს, ხოლო დიღომში ერთ-ერთ განიერ პროსპექტს მისი სახელი ჰქვია. „ფეხბურთის კარუზო" 1958 წელს შვედეთში გამართულ მსოფლიოს VI ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს ესწრებოდა. იგი აღაფრთოვანა ბრაზილიელების ვალდორ (დიდი) პერეირას, პელეს, გარინჩას თამაშმა.

— ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად პელე მიმაჩნია, — თქვა „დინამოს სტადიონის დირექტორმა ბორის პაიჭაძემ. ყველა დროის იდეალური ნაკრები, მისი აზრით, ასე გამოიყურებოდა: იაშინი (სსრკ), ჯალმა სანტოსი (ბრაზილია), მური (ინგლისი), ბელინი (ბრაზილია), ფაკეტი (იტალია), ბეკენბაუერი (გფრ), ბობი ჩარლტონი (ინგლისი), გარინჩა, პელე (ორივე — ბრაზილია), დი სტეფანო (ესპანეთი), მესხი (საქართველო). სიამოვნებით ვითამაშებდი ასეთ ხუთეულში: გაიოზ ჯეჯელავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი.

ლეგენდარულ ქართველ ფალავანს გივი კარტოზიას უთქვამს: „ბორის პაიჭაძე, როგორც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", ისე მოევლინა ქართულ სპორტს. სწორედ ამ შესანიშნავი მასწავლებლის დაუვიწყარ ღია საფეხბურთო გაკვეთილებზე აღიზარდა და დავაჟკაცდა სახელოვან სპორტსმენთა მთელი პლეადა, რომლის გამგრძელებელი ჩემი თაობის წარმომადგენლებიც გახლავართ. ამიტომაც თამამად შემიძლია ვთქვა: „ბორის პაიჭაძე ქართული სპორტის ქურუმი, მისი რაინდული ტრადიციაა".

შალვა ქირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი

თვალსაზრისი

ბოლო ხანს დაივიწყს უკანა მცველით თამაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი ისევ შემოვა მოდაში, რადგან „ყოველგვარი სიახლე დიდი ხნის წინათ დავიწყებული ძველია". თუ ხურცილავასა და ჩივაძეს გავიხსენებთ, ისინი გაცილებით ძლიერად თამაშობდნენ წინა მცველის ადგილზე. ნაკრებშიც ასე ხდებოდა — მათ უკან აყენებდნენ შესტერნიოვს, კაპლიჩნის, ხიდიატულინს, ბალტაჩას. ლიბეროს ადგილი ყველაზე სათუთია გუნდში. ლიბეროს უნდა ჰქონდეს მაღალი სისწრაფე, რადგან მეტოქის კონტრიერიშისას სწრაფი თავდამსხმელის წინააღმდეგ მისი ორთაბრძოლა გადამწყვეტია. ასევე უნდა ფლობდეს ართმევას, ჩაწოლას, დასწრებაზე და თავით თამაშს, დაზღვევაზე თამაშისა და პოზიციის შერჩევის უტყუარ გრძნობას და სხვა. ამ ყველაფერთან ერთად არის კიდევ რაღაცა სხვა, რომელსაც მე „ლიბეროს იმუნიტეტს" ვუწოდებდი. აი, სწორედ ასეთი ფეხბურთელის ქრონიკულ დეფიციტს განიცდის ქართული ფეხბურთი, რაც ისევ და ისევ ჩვენი ბუნებიდან გამოდის (ნაკლები ორგანიზებულობა, დისციპლინა, სიბეჯითე, სიმშვიდის შენარჩუნება კრიტიკულ სიტუაციაში და ყოველივე აქედან გამომდინარე — საიმედოობა). მეკარისა და ლიბეროს შეცდომა ხომ გოლია! მე ერთადერთი ლიბერო მახსენდება ქართულ ფეხბურთში, რომელიც, ასე თუ ისე, აკმაყოფილებდა საერთაშორისო ნორმებს. ეს იყო შოთა ხინჩაგაშვილი. იგი თავიდან მარცხენა მცველად თამაშობდა. ნოდარ ახალკაცმა შესანიშნავი მიგნება გააკეთა და შოთა უკანა მცველად გადაიყვანა. ამით ჩივაძეს საშუალება მიეცა წინა მცველის ადგილზე წელში გამართულიყო. მაშინვე დაეტყო დაცვას სასიკეთო ცვლილებები და იგი სტაბილური და საიმედო გახდა. ყველაფერ ამის მიზეზი იყო ის, რომ შ. ხინჩაგაშვილს აღმოაჩნდა ლიბეროს იმუნიტეტი, თუმცა, მისი სისწრაფე ჯობდა უკეთესი ყოფილიყო.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართულმა გუნდებმა უნდა მოიწვიონ იგივე მეკარესთან ერთად, სწორედ ამ ადგილზე მოთამაშეებიც, როდესაც უკანა მცველით თამაში კვლავ შემოვა მოდაში რუსეთიდან და უკრაინიდან.

— თბილისის „დინამო" ყოველთვის იყო გამორჩეული უძლიერესი თავდასხმის რგოლით. უნგრეთის ნაკრების ცნობილ მწვრთნელს ლაიოშ ბაროტის ასეთი სიტყვები აქვს ნათქვამი: „საბჭოთა კავშირის ნაკრებში უნდა თამაშობდეს ხუთი ქართველი თავდამსხმელი და იგი უძლიერესი გახდება მსოფლიოში". ეს, ერთის მხრივ ნიშნავს რუსების დაცვისა და კარის შეუვალობას, მეორეს მხრივ კი ჩვენი თავდამსხმელების დიდ აღიარებას.

მართლაცდა, თავად განსაჯეთ: პაიჭაძე, ჯეჯელავა, ღოღობერიძე, მესხი, მეტრეველი, ბარქაია, შენგელია, გუცაევი... ქართველ თავდამსხმელთა ძირითადი თვისება იყო უმაღლესი ტექნიკა და აგრესიულობა. ასეთივე იყო ნახევარდაცვაც. შოთა იამანიძე იყო ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ნახევარმცველი, რომელიც კი მინახავს. სად და როგორ დაიკარგა ეს თვისება? დღევანდელი ქართული გუნდები თავისი თამაშით მეტოქეს თითქოსდა „ეუბნებიან": „ნუ შეგვეხებით და არც ჩვენ გახლებთ ხელს!" ან კიდევ ფრაზას ცნობილი მულტფილმიდან — „რებიატა, დავაიტე, ბუდიმ ჟიტ დრუჟნა!" და თვითონ უჩვენებენ სამშვიდობო პოლიტიკის მაგალითს. მაგრამ ასეთი გარიგება მეტოქეს ხელს არ აძლევს და... ჩვენი გუნდები წინ, მეტოქის კარისკენ მოძრაობის ნაცვლად, ფაქტობრივად, კვადრატს თამაშობენ. ეს კვადრატის გადამეტებული ვარჯიშის შედეგი ხომ არ არის? ვფიქრობ, აქ უნდა იყოს ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი. ქართველი კაცის ბუნებას ვინმე გვასწავლის? მძიმე კროსებს, ტრენაჟორებს, ბურთით 60-მეტრიან რბენებს, დამქანცველ ვარჯიშებსა და ათასგვარ ჰაპანწყვეტებს ეს არ ჯობია? ტექნიკას გამოიმუშავებ, შემოქმედებითია, საინტერესოა, ძალიანაც არ დაიღლები და კარგადაც გაერთობი. „ვარჯიშიდან" წამოსვლისას თვითკმაყოფილი გულში იტყვი კიდეც: „ესეც ასე, დღეს სამი საათი ვივარჯიშე!" არა ბიჭო, ახლა და გაიხვითქე, ან კიდევ შტანგას ეჯაჯგურე!

მე არც იმას ვაპირებ, რევოლუცია შევიტანო ვარჯიშების მეთოდიკაში და, მით უმეტეს, ვინმეს ჭკუა დავარიგო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კვადრატების ვარჯიშის მიმართ ჩვენი მიდგომა რადიკალურად უნდა შეიცვალოს. როდესაც კაცს ორი საქმე აქვს გასაკეთებელი, ერთი მძიმე და მეორე — შედარებით იოლი, ჯობია ჯერ მძიმე გააკეთოს, რადგან მეორე საქმე მძიმეს შემდეგ უფრო იოლად დაიძლევა. მაგრამ, თუ ჯერ იოლი საქმით დაიღლები, მძიმეს დაძლევა გაჭირდება. კვადრატი, კენწლაობა და ა.შ. უნდა იყოს არა ძირითადი ვარჯიშები, რასაც, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი გუნდი აკეთებს (განსაკუთრებით პროვინციებში), არამედ, როგორც დესერტი, კარგი სადილის შემდეგ.

მოძრაობა მოედნის განივად ან უკან — აი, ჩვენი თამაში. ამას თავისი ახსნა აქვს. უპირველესი მიზეზი არის ის, რომ არ ვთამაშობთ უბურთოდ. ბურთიან ფეხბურთელს შეტევის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი უნდა ჰქონდეს, რაც თანაგუნდელებმა უნდა შეუქმნან. ისინი გამუდმებული მოძრაობით უნდა ეხსნებოდნენ მას. ამ შემთხვევაში მეტოქის მცველები დაკავებული იქნებიან იმ პრობლემით, რომ ჩაკეტონ ისინი. ამით დიდი შეღავათი ეძლევა ბურთიან ფეხბურთელს, რადგან შეეძლება პასის მიწოდება მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, ან თვითონ განაგრძოს იერიში. მაგრამ, რადგან ჩვენებურ ფეხბურთში ყველა გაჩერებულია და სეირს უყურებს, თუ რას მოიმოქმედებს ბურთიანი ფეხბურთელი, იერიში არ გამოდის, უკბილოა, ხოლო გუნდი არააგრესიული, პასიურია. ბურთიანი ვერ ხედავს გარშემო ვერავის, ვისთვისაც შეიძლებოდა პასის მიწოდება. ასეთ შემთხვევაში იგი იძულებული ხდება ან მარტო შეეცადოს წინსვლას უთანასწორო ბრძოლით, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, ან ბურთი რომ არ დაკარგოს, უკან მიაწოდოს მცველებს. ყველაფერი თავიდან იწყება, ბურთიანი კვლავ მივა „აკრძალულ ზონამდე", თავდამსხმელები და ნახევარმცველები მჭიდროდ არიან აყვანილები... ასე მთელი თამაში ხომ არ გაგრძელდება, ამასობაში ბურთიც დაიკარგება და... უბურთოდ იმიტომ არ ვთამაშობთ, რომ ამას სჭირდება შრომა, სირბილი, მოძრაობა, არ ჯობია, ვიდგეთ და ბურთიანმა თავის პრობლემას თვითონ მიხედოს? ჩვენ ფონს გასვლა გვინდა მხოლოდ ნიჭით და ტექნიკით, მაგრამ თუ ეს გამოგვდიოდა, თანამედროვე ფეხბურთში აღარ გამოგვდის, რადგან უზომოდ გაიზარდა მოძრაობა, გამძლეობა, შრომა. სწორედ უბურთოდ უმაღლეს დონეზე თამაში არის თანამედროვეობის დიდი გუნდების მთავარი კოზირი. „კედელიც" უბურთოდ თამაშის ერთ-ერთი სახეა — პასი და გასვლა ცარიელ ადგილზე. აღნიშნული გუნდები ამ შემთხვევაში ამით არ კმაყოფილდებიან და სხვა ფეხბურთელებიც, დაუღალავი შრომით, მოძრაობით გადიან ცარიელ ადგილებზე. ბურთიანი ფეხბურთელი ბედნიერია — აქვს ფართე არჩევანი თუ ვის მიაწოდოს ბურთი. მის ახლოს მყოფი მეტოქის მცველებიც იძულებულნი ხდებიან ისე აქტიურად აღარ შეავიწროონ იგი, რადგან ცარიელ ადგილებში გახსნილგასული მეტოქეები ჰყავთ ასაყვანი. ასეთ შემთხვევაში, რადგან იმდენად ველარ აწუხებენ მცველები (ყოველ შემთხვევაში, ერთზე ორი აღარ მოდის, როგორც ეს ქართულ გუნდებშია), ბურთიანს ბურთის ფლობაც ეიოლება და წინაც შეუძლია განაგრძოს მოძრაობა.

აი, ის დიდი „ფილოსოფია" და საიდუმლო, რაშიც მდგომარეობდა მოსკოვის „სპარტაკის" დიდებული გუნდის შესანიშნავი თამაში და ჩვენი უსუსურობა. ასეთი თამაში ძნელია? რა თქმა უნდა, იოლი არ არის, მაგრამ არაფერია შეუძლებელი. მთავარია, მთელი ქართული ფეხბურთი გადავაწყოთ ამ უახლეს, რაციონალურ და თანამედროვე სისტემაზე. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ფეხბურთელებს ჯერ კიდევ ბავშვობაშივე უნდა ვასწავლოთ უბურთოთ თამაში. ანდრო ჟორდანია ამბობდა: „მოედანზე თამაშობს არა მარტო ის, ვისაც აქვს ბურთი, არამედ თამაშობენ მისი პარტნიორებიც. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, უბურთო თამაშიც დიდი ხელოვნებაა. უბურთო ფეხბურთელმა უნდა იგრძნოს, თუ რას ფიქრობს მისი ამხანაგი, რომელსაც ბურთი აქვს, უნდა შეარჩიოს ხელსაყრელი პოზიცია, ხელი შეუწყოს მეგობარს ამოცანის გადაწყვეტაში".

ომარ ჩხეიძე

(გაგრძ. იქნება, დასაწ. „ლელო" №8-9)

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

გერმანიამდე ცოტაღა დარჩათ...

უკრაინის ნაკრებმა მსოფლიო 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (მეორე ჯგუფი) სტუმრად 2-0 დაამარცხა ალბანეთის გუნდი და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ფინალური ეტაპისაკენ. ანგარიში 39-ე წუთზე რუსოლმა გახსნა, მეორე ტაიმში კი გუსინმა გამოიჩინა თავი.

გუნდების **შემადგენლობა:**

ალბანეთი: სტრაკოშა, დალკუ, დურო, კანა, პაჩი, ჩიპი (ოსმანი, 51), ლალი, ალიაი, სკელა, ტარე (ბოგდანი, 65), ბუში (მირტაი, 76).

უკრაინა: შოვკოვსკი, ტიმოშჩუკი, ნესმაჩინი, იეზერსკი, რუსოლი, შელაევი, გუსევი, როტანი (ვორობეი, 66), გუსინი, ვორონინი (რიკუნი, 80), შევჩენკო.

მატჩის შემდეგ უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ ბლოხინმა** ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „თამაშს საკმაოდ დიდი პრობლემებით შევხვდით. მოთამაშეთა ნაწილი გუნდის შემადგენლობაში ტრავმის გამო არ გვყავდა. სრულ სათამაშო ფორმაში მხოლოდ ვორონინი და შევჩენკო იყო. მადლობელი ვარ მთელი გუნდის. ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს, მოედანზე ბოლომდე დაიხარჯნენ და შედეგსაც მიაღწიეს. მე-80 წუთიდან გაგვიძნელდა, რადგან ბიჭები დაიღალნენ, მაგრამ მაინც შევძელით უპირატესობის შენარჩუნება. ახლა ჩვენ დამაჯერებლად ვლიდერობთ ჯგუფში, თუმცა, ეს ჯერ არაფერს ნიშნავს — შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე 6 ძნელი მატჩი გველის“.

ამავე ჯგუფში საბერძნეთის ნაკრებმა დანიის გუნდს უმასპინძლა. ბერძნებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და 25-ე წუთზე ზაგორაკისის მიერ გატანილი გოლით დაწინაურდნენ. მალე ბასინასმა ზუსტად გამოიყენა შეხვედრის არბიტრის მიერ სტუმართა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი — 2-0. პირველი ტაიმის მიწურულს რომედალმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანა. მეორე ტაიმმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა, თუმცა, გოლი აღარ გასულა. საბერძნეთის ნაკრებმა 2-1 იმარჯვა და ჯგუფის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

გუნდების შემადგენლობა.

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი, კაცურანისი, ფისასი, ბასინასი, ზაგორაკისი (კირგიაკოსი, 46), იანაკოპულოსი, კარაგუნისი (კაფესი, 61), ვრიზასი (ამანატიდისი, 83), ხარისტეასი.

დანია: სორენსენი, პოულსენი, ნ. იენსენი (მადსენი, 70), კრილდრუპი, ლუშტუ (პ. ნილსენი, 65), პრისკე, გრავესენი, დ. იენსენი, პერესი (იორგენსენი, 46), რომედალი, ტომასონი.

გაგაცნობთ სატურნირო მდგომარეობას:

უკრაინა	6	4	2	0	11-3	14
საბერძნეთი	5	2	2	1	7-5	8
დანია	5	1	3	1	7-6	6
თურქეთი	5	1	3	1	6-5	6
ალბანეთი	5	2	0	3	3-7	6
საქართველო	4	1	2	1	5-5	5
ყაზახეთი	4	0	0	4	2-10	0

გაიმართა მატჩები ევროპის ზონის კიდევ ორ შესარჩევ ჯგუფში.

პირველ ჯგუფში მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. მაკედონიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ვერ მოახერხა აშკარა აუტსაიდერის ანდორის გუნდის დამარცხება — 0-0.

სატურნირო მდგომარეობა:

ჰოლანდია	4	3	1	0	10-3	10
რუმინეთი	5	3	1	1	10-5	10
ფინეთი	5	3	0	2	10-6	9
ჩეხეთი	4	3	0	1	6-2	9
მაკედონია	6	1	2	3	6-5	5
ანდორა	5	1	1	3	2-11	4
სომხეთი	5	0	1	4	2-12	1

მეშვიდე ჯგუფში ესპანეთის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე „მიწასთან გაასწორა“ სან-მარინოს სუსტი ნაკრები. მეტოქის კარში მასპინძლებმა 5 უპასუხო გოლი გაიტანეს — 5-0. თავი გამოიჩინეს ხოაკინმა, ფერნანდო ტორესმა, რაულმა, გუტიმ და დელ ორნომ.

ამ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კასილიასი, მიჩელ სალგადო, პუიოლი, მარჩენა, დელ ორნო, ხოაკინი, დე ლა პენია (გარიე, 77), ჩავი, ლუკე (ვილა, 48), რაული (გუტი, 48), ფერნანდო ტორესი.

სატურნირო მდგომარეობა:

სერბეთი	4	3	1	0	10-0	10
ესპანეთი	4	2	2	0	8-1	8
ლიტვა	4	2	2	0	6-1	8
ბოსნია	2	0	2	0	1-1	2
ბელგია	2	0	1	2	1-5	1
სან-მარინო	5	0	0	5	0-18	0

დასასრულ, გაგაცნობთ შესარჩევი მატჩების შედეგებს სხვა არაევროპულ ზონაში.

კონკაკაფი: ტრინიდადი — აშშ 1-2.

აზია: უზბეკეთი — საუდის არაბეთი 1-1; სამხრეთ კორეა — ქუვეითი 2-0; იაპონია — ჩრდ. კორეა 2-1; ბაჰრეინი

ამხანაგურად...

ოთხშაბათს სანაკრებო დონეზე ამხანაგური მატჩების დღეც იყო.

მსოფლიო ჩემპიონებმა ბრაზილიელებმა სტუმრად ჰონგ-კონგის გუნდი გაანადგურეს — 7-1. ორი გოლი რიკარდო ოლივეირამ გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს ლუსიომ, რობერტო კარლოსმა, რონალდინიომ, რობინიომ და ალექსმა.

ბრაზილიის ნაკრები: ჟულიო სეზარი, კაფუ (ბელეტი), ლუსიუ, ჟუანი, რობერტო კარლოსი (ჟილბერტუ), ემერსონი, ჟუნინიო პერნამბუკანო (ჟულიო ბაპტისტა), ზე რობერტო (რენატო), რონალდინიო (ალექსი), რობინიო, რიკარდო ოლივეირა (ელანო).

ევროპულ ამხანაგურ მატჩებიდან დიდ ინტერესს იწვევდა ინგლის — ჰოლანდიის, აგრეთვე გერმანია — არგენტინის მატჩები. ინგლისელებისა და ჰოლანდიელების მონაწილეობით გამართულ შეხვედრაში გოლი არ გასულა.

გუნდების შემადგენლობა.

ინგლისი: რობინსონი, ბრაუნი, კარაგერი, ეშლი კოული, გარი ნევილი, ბეკჰემი (დაიერი, 82), ჯერარდი (ჯენასი, 82), ლამპარდი (ჰარგრივზი, 46), რაიტ ფილიპსი (დაუნინგი, 61), ოუენი, რუნი (ჯონსონი, 61).

ჰოლანდია: ვან დერ საარი, ბულარუზი, ჰეიტინგა (ვან ბომელი, 62), კრომკამპი, მატოსენი, ვან ბრონკჰორსტი, ლანდზაატი, ვან დერ ვაარტი, კასტელენი (ილდირიმი, 64), კუიტი, მაკაი.

გერმანია – არგენტინის მატჩის მხილველებმა კი ოთხი გოლი იხილეს. მასპინძლები 28-ე წუთზე დაწინაურდნენ მას შემდეგ, რაც ფრინგსმა ზუსტად გამოიყენა მსაჯის მიერ არგენტინელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი. ტაიმის მიწურულს კრესპომ ასევე პენალტით აღადგინა წონასწორობა, იქვე კურანმა გამოიჩინა თავი და გერმანიის ნაკრები შესვენებაზე ერთბურთიანი უპირატესობით გავიდა. მეორე ტაიმში ისევ კრესპომ გამოიჩინა თავი და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 2-2.

გუნდების შემადგენლობა.

გერმანია: ლემანი, ოვომოიელა, მერტესაკერი, ვიორნსი, ჰიტცლშპერგერი, შნაიდერი, ფრინგსი, ერნსტი შვაინშტაიგერი (შულცი, 75), კურანი, ასამოა (ფრაიერი, 29).

არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, ჰაინცე, მილიტო (მაქსი როდრიგესი, 46), სორინი, რიკელმე, სკალონი (კამბიასო, 46), დუშერი (გალეტი, 78), ბურდისო, სავიოლა, კრესპო.

იტალიის ნაკრებმა რუსეთის გუნდს უმასპინძლა და დაამარცხა მეტოქე 2-0. ანგარიში 57-ე წუთზე ჯილარდინომ გახსნა, 6 წუთის შემდეგ კი ბარონემ მეორედ აიღო რუსთა კარი.

ფრედ — 1-1 დსრულდა შეხვედრა საფრანგეთისა და შვედეთის ნაკრებებს შორის. ჯერ ლიუნგბერგმა დააწინაურა სტუმრები, შემდეგ კი ტრეზეგემ აღადგინა წონასწორობა.

გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს: ბულგარეთი— სერბეთი 0-0, სლოვენია — რუმინეთი 2-2, საემიროები — შვეიცარია 1-2, სლოვაკეთი — ჩეხეთი 0-3, ისრაელი — ხორვატია 3-3, ავსტრია — ლატვია 1-1, კვიპროსი — ფინეთი 1-2, მალტა — ნორვეგია 0-3, სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია 1-1, პოლონეთი — ბელარუსი 1-3, კამერუნი — სენეგალი 1-0, ეგვიპტე — ბელგია 4-0, ირლანდია — პორტუგალია 1-0, უელსი — უნგრეთი 2-0, ჩრდ. ირლანდია — კანადა 0-1.



ადრიანოს ფასი აინტერესებდა...

მილანის „ინტერის“ ბრაზილიელი თავდამსხმელის — ადრიანოს აგენტმა გილმარ რინალდიმ განაცხადა, რომ ლონდონის „ჩელსის“ ხელმძღვანელობა მისი კლიენტითაა დაინტერესებული. აგენტის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, ლონდონური კლუბის მფლობელს, რუს ოლიგარქს რომან აბრამოვიჩს პირადად დაურეკავს „ინტერის“ პრეზიდენტისათვის მასიმო მორატისათვის და ადრიანოს ფასი უკითხავს.

„ჩელსიდან“ ექიმი გააძევეს

ლონდონის საფეხბურთო კლუბ „ჩელსიდან“ გააძევეს ექიმი ნილ ფრეიზერი. კლუბის ოფიციალური საიტი იტყობინება, რომ ექიმმა სამუშაო საკუთარი ჯანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა, სხვა საინფორმაციო საიტები კი სრულიად განსხვავებულ მიზეზებზე მიუთითებენ. გაზეთ „ინდეპენდიენტეს“ ცნობით, დოქტორ ფრეიზერის წასვლა არიენ რობენის ტრავმამ განაპირობა. თურმე, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ექიმს სთხოვა, რომ არიენ რობენი სრულ მზადყოფნაში შეხვედროდა 27 თებერვალს დანიშნულ ინგლისის ლიგის ფინალს. ნილ ფრეიზერმა ვერ მისცა პორტუგალიელ სპეციალისტს სათანადო გარანტია, რის შემდეგაც „ჩელსიდან“ დაითხოვეს.

ფეხბურთელები როდის ხდებიან ავტომატურად სუპერვარსკვლავები?

გერმანული ფეხბურთის გასული საუკუნის 90-იანი წლების ვარსკვლავს მათიას ზამერს მკითხველის წინაშე, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდება. ის ამჟამად გერმანიის ბუნდესლიგის ერთ-ერთ ძლიერ გუნდს – „შტუტგარტს“ თავკაცობს. გთავაზობთ მათიას ზამერის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

დოსიე: მათიას ზამერი.

დაიბადა 1967 წლის 5 სექტემბერს, დრეზდენში.

თამაშობდა დრეზდენის „დინამოში“ (1972-1990), „შტუტგარტში“ (1990-1992), მილანის „ინტერში“ (1992-1993), დორტმუნდის „ბორუსიაში“ (1993-2000).

ბუნდესლიგაში 178 მატჩი ჩაატარა (გაიტანა 41 გოლი), იტალიის სერია „ა“-ში – 11 (4), გდრ-ის უმაღლეს ლიგაში – 102 (39), გერმანიის ნაკრების ღირსება 51 მატჩში დაიცვა და 8 გოლი გაიტანა. გდრ-ის ნაკრებში ჩატარებული აქვს 23 მატჩი (6).

ევროპის ჩემპიონი (1996), ვერცხლის პრიზიორი (1992), ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული (1997), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1997), უეფას თასის გათამაშების ფინალისტი (1993), გერმანიის ჩემპიონი (1992, 1995, 1996), გდრ-ის ჩემპიონი (1989, 1990), გდრ-ის თასის მფლობელი (1990), ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის (1986), ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (1996).

2000-2004 წლებში თავკაცობდა დორტმუნდის „ბორუსიას“, რომელთან ერთად მოიპოვა გერმანიის ჩემპიონის ტიტული და გავიდა უეფას თასის გათამაშების ფინალში. 2004 წლის 1 ივნისიდან წვრთნის „შტუტგარტს“.

* * *

◆ ***1996 წელს ევროპის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ გერმანიის ნაკრების გუნდურ სურათზე ყველას ბედნიერი სახე აქვს, თქვენ კი – მოღუშული...***

— (იცინის). იცით, ემოციების გამოვლენა ყველას სხვადასხვაგვარად შეუძლია. ვერ გეტყვით, რას ვფიქრობდი მაშინ, როცა ამ სურათს მიღებდნენ. გაიხსენეთ, 1990 წელს გერმანიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვა, მთავარი მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი სერიოზული სახით დააბიჯებდა მოედანზე, მერწმუნეთ, ის იმ წუთას ბედნიერი ადამიანი იყო.

◆ ***ბერტი ფოგტსს, ოტმარ ჰიტცფელდს და სხვა ცნობილ სპეციალისტებს ხშირად უთქვამთ, რომ ფეხბურთელობისას მოედანზე ისე აზროვნებდით, როგორც მწვრთნელი...***

— ძნელია საკუთარ თავზე საუბარი. აბა, როგორ გითხრათ, რა დონის მოთამაშე ვიყავი. მე ერთი რამ ვიცოდი, — უნდა შემესრულებინა მოედანზე იგივე ფოგტსისა და ჰიტცფელდის დავალებები.

◆ ***მოედანზე ხშირად ლაპარაკობდით, კამათობდით მსაჯებთან...***

— მთელი მატჩის განმავლობაში ემოციებს ვერ ვიკავებდი, ვცდილობდი, ზეგავლენა მომეხდინა თამაშის მსვლელობაზე. ვჩუმდებოდი მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ.

◆ ***ევროპის 2002-2003 წლების გათამაშების ერთ-ერთ მატჩში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ 1-0 იგებდით. შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოახდინეთ ცვლილება — მარცხენა მცველი დედე ფორვარდ რეინით შეცვალეთ. მადრიდელებმა სწორედ მარცხენა ფლანგიდან განვითარებული შეტევის შედეგად გაათანაბრეს ანგარიში. ბევრმა სპეციალისტმა ჩათვალა, რომ მაშინ თქვენ შეცდომა დაუშვით.***

— მე ხშირად ვიხსენებ იმ ეპიზოდს. უბრალოდ აგიხსნით: დედემ ტრავმა მიიღო და მისი ღირსეული შემცვლელი არ მყავდა. სათადარიგოდ მისი ძმაც მყავდა, რომელსაც, სამწუხაროდ, სათამაშო პრაქტიკა არ გააჩნდა, ამასთან, არც ის იყო მცველი.

◆ ***რა დაემართა დორტმუნდის „ბორუსიას“ მას შემდეგ?***

— ბევრი რამ, მაგრამ ამაზე არ მსურს საუბარი.

◆ ***მაშინ თქვენს ამჟამინდელ კლუბზე — „შტუტგარტზე“ ვისაუბროთ. რა მიზნები გაქვთ მიმდინარე სეზონში?***

— ბუნდესლიგაში დავიკავოთ ის ადგილი, რომელიც მოგვცემს საშუალებას, შემოდგომაზე უეფას თასის გათამაშებაში ვიასპარეზოთ.

◆ ***ამჟამად ხომ აგრძელებთ მონაწილეობას ამ ტიპის ევროტურნირში. გაქვთ მასში გამარჯვების შანსი?***

— რა თქმა უნდა.

◆ ***როგორ აფასებთ გერმანული ფეხბურთის დღევანდელობას?***

— აღმავლობის გზაზეა. მართალია, ბოლო პერიოდში სამსაჯო სკანდალი ატყდა, მაგრამ მჯერა, რომ ყველაფერი ბოლომდე გაირკვევა. არა მგონია, რომ ამ სკანდალით გერმანულ ფეხბურთს ჩირქი მოეცხოს.

◆ ***ბევრი თვლის, რომ იურგენ კლინსმანის გერმანიის ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტია...***

— შესაძლებელია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატამდე დიდი დროა, შეიძლება იქამდე ბევრი რამ შეიცვალოს მსოფლიო ფეხბურთში.

◆ ***არიან თუ არა დღეს გერმანიაში ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც ძალუძთ, მომავალში მსოფლიო ვარსკვლავები გახდნენ?***

— რა თქმა უნდა. თუ გერმანული კლუბები წარმატებით ითამაშებენ ევროტურნირებში, თუ ქვეყნის ნაკრებიც ხმაურიან გამარჯვებებს იზეიმებს, წარმატების მონაწილე ფეხბურთელები ავტომატურად ხდებიან სუპერვარსკვლავები.

◆ ***რა იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა ცხოვრებაში?***

— არ უნდა გამეკეთებინა მუხლზე მეორე ოპერაცია, რის შედეგადაც ინფექცია შემეჴრა. ამან იძულებული გამხადა კარიერა დამესრულებინა. და მაინც, ცხოვრებით კმაყოფილი ვარ, რადგან მყავს ოჯახი, ბავშვები...

ნბა

„სან ანტონიომ" დეიმსონი ვერ შეაჩერა...

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „სან ანტონიომ" წარუმატებლად ითამაშა სტუმრად „ვაშინგტონის" წინააღმდეგ. მასპინძლებმა თამაში 8 ქულის სხვაობით მოიგეს — 95:87. „ვაშინგტონის" წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჯემიმსონს, რომლის ანგარიშზეც 35 ქულაა.

წარმატებით ითამაშა ზაზა ფაჩულიას „მილუოკმა", რომელმაც სტუმრად 3 ქულის სხვაობით სძლია „ტორონტოს" 110:107.

გაგაცნობთ გუშინ ჩატარებული სხვა შეხვედრების შედეგებს: „ბოსტონი" — „კლიპერსი" 94:89, „ფილადელფია" — „მემფისი" 95:98, „ინდიანა" — „შარლოტა" 94:87, „ნიუ ჯერსი" — „ლეიკერსი" 103:104 (ო-ვ), „ნიუ-იორკი" — „მაიამი" 110:116 (ო-ვ), „მინესოტა" — „დენვერი" 98:92, „ჰიუსტონი" — „ჩიკაგო" 105:92.

„ვარსკვლავთა" შემადგენლობა ცნობილია

20 თებერვალს დენვერში გაიმართება ნბა-ს „ყველა ვარსკვლავთა" მატჩი, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციების ნაკრებები.

უკვე ცნობილი გახდა გუნდების სრული შემადგენლობა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

აღმოსავლეთ კონფერენცია

სასტარტო ხუთეული: შაკილ ო'ნილი („მაიამი", მე-12-ედ მონაწილეობს „ვარსკვლავთა" მატჩში), ალენ აივერსონი („ფილადელფია", 6), ვინს კარტერი („ნიუ ჯერსი", 6), ლებრონ ჯეიმსი („კლივლენდი", 1), გრანტ ჰილი („ორლანდო", 7).

სათადარიგონი: ჯილბერტ არენასი („ვაშინგტონი", 1), ჟიდრუნას ილგაუსკასი („კლივლენდი", 2), ანტუან ჯემისონი („ვაშინგტონი", 1), ჯერმინ ო'ნილი („ინდიანა", 4), პოლ პირსი („ბოსტონი", 4), დუაინ უეიდი („მაიამი", 1), ბენ უოლესი („დეტროიტი", 3). **მწვრთნელი** — სტენ ვან გარდი („მაიამი").

დასავლეთ კონფერენცია

სასტარტო ხუთეული: კობი ბრაიანტი („ლეიკერსი", 7), თიმ დანკანი („სან ანტონიო", 7), კევინ გარნეტი („მინესოტა", 8), ტრეისი მაკგრეიდი („ჰიუსტონი", 5), იაო მინი („ჰიუსტონი", 3).

სათადარიგონი: რეი ალენი („სიეტლი", 5), მანუ ჟინობილი („სან ანტონიო", 1), რიშად ლუისი („სიეტლი", 1), შონ მერიონი („ფინიქსი", 2), სტივ ნეში („ფინიქსი", 3), დირკ ნოვიცკი („დალასი", 4), ამარ სტაუდმაიერი („ფინიქსი", 1). **მწვრთნელი** — გრეგ პოპოვიჩი („სან ანტონიო").

პეტერ ლეკო: „ცოლს ოთხ ენაზე ვესაუბრები"

უნგრელი მოჭადრაკე პეტერ ლეკო ხშირად ექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბოლო პერიოდში მის წარმატებებს საჭადრაკო სამყაროში. შარშან ლეკომ დასანანი მარცხი იწვნია მსოფლიო ჩემპიონატის გამაერთიანებელ ნახევარფინალურ მატჩში ვლადიმირ კრამნიკთან. წლევანდელი სეზონი პეტერმა ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის მოგებით დაიწყო. ორ კვირაში უნგრელ მოჭადრაკეს ლინარესის სუპერტურნირი ელის. გთავაზობთ პიტერ ლეკოს მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის" მიცემულ ინტერვიუს.



◆ ***ვეიკ-ან-ზეეში ბრწყინვალე თამაში აჩვენეთ. რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო? ასე მალე როგორ აღიდგინეთ ძალები კრამნიკთან მატჩში დამარცხების შემდეგ?***

— აბა, რა ძალები უნდა აღმედგინა? კრამნიკთან მატჩის შემდეგ მეუღლესთან ერთად ორი კვირით გავემგზავრე მექსიკაში და ჭადრაკისაგან საფუძვლიანად დავისვენე. დეკემბრიდან განვაახლე ვარჯიში მწვრთნელთან — არშაკ პეტროსიანთან ერთად, რათა კარგად მოვმზადებულიყავი ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირისათვის. აკი, მშვენივრად ვიასპარეზე. ნამდვილად კმაყოფილი ვარ.

◆ ***ბოლო პერიოდში ძალზე სტაბილურად, შედეგიანად ასპარეზობთ. აქედან გამომდინარე, ვეიკ-ან-ზეეს ტურნირის შემდეგ მოჭადრაკეთა რეიტინგში მესამე ადგილზე ხართ გარი კასპაროვისა და ვიშვანათან ანანდის შემდეგ. როგორ გესახებათ მომავალში თქვენი ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის?***

— მართლაც სტაბილურად ვთამაშობ. მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, მე ვარ ერთადერთი მოჭადრაკე, რომელმაც სამივე სუპერტურნირი მოვიგე — 2002 წელს დორტმუნდში გავიმარჯვე, 2003-ში — ლინარესში, ხოლო წელს — ვეიკ-ან-ზეეში. რაც შეეხება მომავალში მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლას, ამაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ. მე ხომ შარშან წავაგე მსოფლიო პირველობის ნახევარფინალური მატჩი ვლადიმირ კრამნიკთან... ახლა ჩემი მიზანია, წარმატებით ვითამაშო საერთაშორისო ტურნირებში. უახლოესი შეჯიბრება ხომ ლინარესშია. უკვე ჯიბეში მიდევს ესპანეთის ამ ქალაქის საგზური და მოუთმენლად ველი გამგზავრების დღის დადგომას — 21 თებერვალს.

◆ ***თუკი გადავხედავთ რეიტინგის სამეულში შემავალ მოჭადრაკეთა სამომავლო პერსპექტივებს, ასაკობრივად თქვენ უფრო უკეთესი მდგომარეობა გაქვთ. კასპაროვი უკვე 40 წლისაა, ანანდს იქამდე ცოტა უკლია, თქვენ კი მხოლოდ 25 წლის ხართ...***

— ჩემს სიმამრს და მწვრთნელს არშაკ პეტროსიანს იმედი აქვს, რომ მომავალში უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევ. შევეცდები, მისი პროგნოზები გავამართლო.

◆ ***რა ენაზე საუბრობთ შინ?***

— ჩემს მეუღლესთან — სოფო პეტროსიანთან ოთხ ენაზე ვსაუბრობ. ინგლისურად, გერმანულად, უნგრულად და რუსულად.

ნჰლ-ის სეზონი 25 თებერვალს დაიწყება?

გაზეთ „ლოს-ანჯელს ტაიმსის" ცნობით, მომავალ კვირაში ნჰლ-ის ხელმძღვანელობა და ჰოკეისტთა პროფესიული კავშირი მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ლოკაუტის დასრულების თაობაზე.

ამავე გაზეთს თუ დავუჯერებთ, არ არის გამორიცხული, რომ ნჰლ-ის სეზონი 25 ებერვალს დაიწყოს. ლიგისა და პროფკავშირის ხელმძღვანელებს შორის დაგეგმილ შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნება სეზონის შემოკლებული ვარიანტი, რომლის თანახმადაც ლიგაში 28 ან 32 ტური ჩატარდება.

ტაისონი კვლავ უილიამსთან იჩხუბებს



პროფესიულ კრივში მსოფლიოს ექსჩემპიონის მაიკ ტაისონის მრჩეველმა შელი ფინკელმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს მისი კლიენტის დენი უილიამსთან მატჩ-რევანშის ჩატარებასთან დაკავშირებით. თუ ფინკელს დავუჯერებთ, ტაისონისა და უილიამსის მხარე ახლოს არიან კონტრაქტზე ხელის მოწერასთან.

„მაიკი მონდომებით ემზადება რინგზე დაბრუნებისათვის. მასთან შეხვედრა დენის უილიამსს სურს ჯერჯერობით. უცნობია თუ როდის და სად გაიმართება ორთაბრძოლა", — ამბობს შელი ფინკელი. შეგახსენებთ, რომ ტაისონმა და უილიამსმა 2004 წლის 30 ივლისს ერთხელ უკვე იჩხუბეს და მაშინ დენისმა მეოთხე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



11 თებერვალი, პარასკევი.

НТВ плюс футбол. ლიბერტადორესის თასი (13.50). თავისუფალი დარტყმა (15.35), „ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები". „სანტოსი" — „ფლუმინენსე" (15.50). განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (17.35). „ფუტბოლ მუნდიალი" (20.10). ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005 წ.წ. სეზონი. რუსეთის ცსკა — პორტუგალიის „პორტუ" (20.55). იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.05). გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.00). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.30, 5.00); *НТВ плюс спорт.* ჰოკეი. ევროტური. ფინეთი — რუსეთი (11.25), ჩეხეთი — შვეცია (14.55). ტაილანდური კრივი (17.05). „სპორტული გლობუსი" (18.45). ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. საფრანგეთი. პირდაპირი ტრანსლაცია (21.00). ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი. აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია (2.00). EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და მსოფლიო თასი (11.00, 11.30, 12.30, 13.30, 13.45, 19.15, 19.30). ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი (0.15). ევროსპორტის ახალი ამბები (1.45). ყველაზე ღონიერი ადამიანები. ჩემპიონთა თასი. ევროპა (2.00). უეფა. ჩემპიონთა ლიგა. ბოლო 16 მატჩი (1.00). **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.30, 13.00, 17.30, 2.00). პროფესიული კრივი. „101 დიდი ნოკაუტი" (1.40, 22.10).

12 თებერვალი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „ინტერი" — „რომა" (22.30, 23.30). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005 წ.წ. სეზონი. რუსეთის ცსკა — პორტუგალიის „პორტუ" (12.15). „ფუტბოლ მუნდიალი" (14.50). ინგლისის ჩემპიონატი. „ევერტონი" — „ჩელსი" (15.40). გერმანიის ჩემპიონატი. „შალკე" — „ვოლფსბურგი" (17.30), ინგლისის ჩემპიონატი. „ბოლტონი" — „მიდლსბრო". პირდაპირი ტრანსლაცია (19.20). ჰოლანდიის ჩემპიონატი. აზ-67 — პსვ (21.25). ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.55). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი და მიმოხილვა (3.00, 3.30, 6.30). *НТВ плюс спорт.* ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი (10.25). ზამთრის სპორტის სახეობები — ჰოკეი. ევროტური. ფინეთი — ჩეხეთი (13.50). შვეცია — რუსეთი (17.20). ჩოგბურთი. საერთაშორისო ჩოგბურთი (21.45). ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი. აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია (2.00). EUROSPORT. ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი (11.00). „გოლი" (11.30). ყველაფერი სპორტზე (11.45). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და თასი (12.00, 13.00, 14.30, 15.00, 16.30, 20.00). ფეხბურთი (21.15). ჩოგბურთი. „ვტა"-ს ტურნირი (23.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30). ევროსპორტის ახალი ამბები (1.30). საბრძოლო ხელოვნების ოსტატები (1.45, სუპერლიგა). **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.00, 12.30, 17.30, 20.30, 2.30). პროფესიული კრივი. „101 დიდი ნოკაუტი" (22.10). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (2004-2005 წ.წ.).

13 თებერვალი, კვირა

საქართველოს ტელვიზია. იმედი. პროგრამა „ასი" (16.30). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „რეჯინა" — „მილანი" (22.30, 23.30). **მზე.** ფეხბურთი (23.00). *НТВ плюс футбол.* ინგლისის ჩემპიონატი. „ბოლტონი" — „მიდლსბრო" (10.15). ესპანეთის ჩემპიონატი (12.20). ჰოლანდიის ჩემპიონატი (14.05). ინგლისის ჩემპიონატი: „მანჩესტერ სიტი" — „მანჩესტერ იუნაიტედი". პირდაპირი ტრანსლაცია (15.55). იტალიის ჩემპიონატი (17.50), გერმანიის ჩემპიონატი „არმინია" — „ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია (19.30). იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (22.25). ესპანეთის ჩემპიონატი (0.35). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.00, 6.30, 7.00). *НТВ плюс спорт* ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი. (10.25). ჰოკეი. ევროტური: ჩეხეთი — რუსეთი (13.50), შვეცია — ფინეთი (17.15). ჭადრაკი. მიმოხილვა (16.45). „დიდი რინგი" (20.15). ტაილანდური კრივი (0.30). EUROSPORT. ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი (11.00). „გოლი!" (11.30). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და თასი (12.00, 13.00, 14.30, 15.00, 16.30, 18.15). ფეხბურთი (21.15). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30). საბრძოლო ხელოვნების ოსტატები (1.45). **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.00, 13.30, 17.30, 20.30, 22.00). ბილიარდი (19.30). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი 2004-2005 წ.წ. (22.55).

კროსვორდი

თარაზულად: 1. ესპანეთის ნაკრების და „რეალის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, 4. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 7. უმაღლესი კატეგორიის ოსტატი თავის საქმეში, 8. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით), 9. ხაშურის საფეხბურთო კლუბი, 10. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 13. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, 16. სპორტის ზამთრის სახეობის პირველი ორი ასო, 17. მშვილდით სასროლი, 18. ცნობილი რუსი საბჭოთა ვაჟი მოფარიკავე (მოსკოველი), 20. ადამიანის ორგანიზმის მთავარი სისხლძარღვი, 22. აზიის ქვეყანა, რომელმაც უმასპინძლა ფეხბურთში მს. ჩემპიონატს, 23. ვეტერანი პროფესიონალი მოკრივე, კასიუს ..., 24. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 25. ფრანგი ჩოგბურთელი ქალი.

შვეულად: 1. სარმა ანუ ..., 2. ესპანელი ვაჟი ჩოგბურთელი, 3. „ჩელსის" ფეხბურთელი, 4. ლეგენდარული ვეტერანი ეთიოპიელი მარათონელი, 5. ნჰლ-ის ჰოკეისტი („სენტ ლუის ბლუზი"), 6. ცნობილი თურქი ფეხბურთელი, 7. სპორტული სარბიელი, ანუ... 11. ჩვენთან ახლომდებარე მთათა სისტემა, 12. სპორტსმენთა ყიდვა-გაყიდვის პროცესი, 14. მეკარე, ანუ... 15. „რეალის" ფეხბურთელი, 16. სათამაშო სახეობებში სპორტული ინვენტარი, 18. ლეგენდარული ჩეხი ტრამპლინიდან მხტომელი, ზამთრის ოლიმპიადის პირველი ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი, 19. ცურვის ყაიდა, 21. „იუვენტუსის" ფეხბურთელი.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ქანთარია, 6. საჰარა, 8. ოტია, 12. იბო, 14. ბოუ, 15. რალი, 16. „ალგა", 18. უნი, 20. ახვლედიანი, 22. „სიენა", 24. ნებიერიძე, 27. ვაზარი, 28. სეტი, 29. „ქრიუ", 30. ნოე.

შვეულად: 1. ბა, 2. პა, 4. ასო, 5. ანა, 7. ჰიმალაი, 9. „ტოტო", 10. დუკა, 11. ტარტუ, 13. ბალახვანი, 14. „ბილბაო", 17. „უდინეზე", 19. ნასტასე, 21. „ინტერი", 23. ეტაპი, 25. „ბეკი", 26. იუკო.

„ფორმულა-1" ინდოელი პილოტი — პირველად!

პირველად ისტორიაში, „ფორმულა-1"-ში იასპარეზებს ინდოელი პილოტი, — მიმდინარე სეზონში „ჯორდანის" ღირსებას დაიცავს ნარაინ კარტიკეიანი. ამ გუნდის მეორე პილოტი იქნება პორტუგალიელი ტიაგუ მონტეირუ.

საინტერესოა, რომ „ჯორდანისათვის" წლევანდელი სეზონი უკანასკნელია. საქმე ის არის, რომ გუნდის მფლობელმა ედი ჯორდანმა „ფორმულა-1"-ის ჩემპიონატებში მონაწილეობის ლიცენზია 2006 წლისათვის მიჰყიდა კომპანია „მიდლანდს". ამ უკანასკნელის მფლობელი გახლავთ წარმოშობით რუსი, კანადაში მოღვაწე ბიზნესმენი ალექს შნაიდერი.

TATA
TATA
TATA MOTORS

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

№9-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.კa1!

1. ..... მფ:a1 2. მc3X, 1. ..... მფc2 2. ლ:d3X, 1..... მ--- 2. ლb2X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com